განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვაიდოტას ვილიუნასი, დამოუკიდებელი ექსპერტი უმაღლესი განათლების საკითხებში, ლიეტუვა

თანათავმჯდომარე: სალმა სოუსი, მარაქეშის უნივერსიტეტი, მაროკო

წევრები:

ქეთევან აფთარაშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო;

ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

თამარ ბერიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ხათუნა საგანელიძე, სპორტული მედიცინისა და მეცნიერების აკადემია, დამსაქმებელი ექსპერტი, საქართველო

ბექა ბენდელიანი, შპს ბრიტანული უნივერსიტეტი საქართველოში, სტუდენტი ექსპერტი

თბილისი
2024

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ქუთაისის უნივერსიტეტი არის პირველი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დასავლეთ საქართველოში. ქუთაისის უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის ბაზაზე, რომელიც 1991 წელს დაარსდა. 2010 წლიდან უნივერსიტეტი ქუთაისის უნივერსიტეტის სახელწოდებით ფუნქციონირებს. შპს ქუთაისის უნივერსიტეტი, მისი ხედვის განაცხადის თანახმად, წარმოადგენს რეგიონული და ეროვნული მნიშვნელობის აკადემიურ დაწესებულებას. 2018 წელს ქუთაისის უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით (საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N71 გადაწყვეტილება).

ქუთაისის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2 ფაკულტეტი: სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტი და მედიცინის ფაკულტეტი. ამჟამად უნივერსიტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის 8 საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მოიცავს საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიან და სადოქტორო პროგრამებს. ამჟამად უნივერსიტეტი აწარმოებს მოსამზადებელ სამუშაოებს ქალაქ თბილისში მედიცინის პროგრამის განხორციელების მიზნით.

მიმდინარე ეტაპზე, უნივერსიტეტის ყველა პროგრამის ფარგლებში ირიცხება 804 სტუდენტი (მათგან 450 სტუდენტს შეჩერებულია აქვს სტუდენტის სტატუსი): 500 ბაკალავრი (361-ს შეჩერებული აქვს სტატუსი), 30 მაგისტრანტი (25-ს შეჩერებული აქვს სტატუსი), 147 დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი (44 - ს შეჩერებული აქვს სტატუსი) და 27 დოქტორანტი (20 - ს შეჩერებული აქვს სტატუსი). 103 საერთაშორისო სტუდენტი (44 - ს შეჩერებული აქვს სტატუსი).

ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალი შედგება 421 თანამშრომლისგან: მათ შორის 102 აკადემიური პერსონალი (32 პროფესორი, 48 ასოცირებული პროფესორი, 18 ასისტენტ პროფესორი, 4 ასისტენტი), 12 სამეცნიერო პერსონალი, 253 მოწვეული სასწავლო პერსონალი და 66 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

ქუთაისის უნივერსიტეტი არის ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის წევრი (EUA), GUNi-ის ინოვაციების ქსელის ინსტიტუციური წევრი, Businet გლობალური ქსელის წევრი და სამედიცინო განათლების ევროპული ასოციაციის აკადემიური წევრი (AMEE).

უნივერსიტეტში შექმნილია ეკონომიკის და მედიცინის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები, იბეჭდება საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“. ქუთაისის უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა დაეთვალიერებინა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამისთვის მომზადებული ქუთაისის უნივერსიტეტის კამპუსი, შენობები და ობიექტები თბილისში. ექსპერტები უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შეხვდნენ 2024 წლის 17-19 ივნისს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტის განხორციელებისათვის აუცილებელი დამხმარე დოკუმენტაცია. თუმცა, აღნიშნულ კრებულში არსებული ხარვეზების გამო, ექსპერტებმა ვიზიტამდე და ვიზიტის დროს ქუთაისის უნივერსიტეტისგან მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტები (განსაკუთრებით ინგლისურენოვანი ვერსიები). ექსპერტებმა, ვიზიტის დროს ნაწილობრივ მიიღეს აღნიშნული დოკუმენტები.

გარდა წარმოდგენილი დოკუმენტებისა, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეისწავლეს და გააანალიზეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, როგორც ინფორმაციის კიდევ ერთი წყარო. თუმცა, ვებ-გვერდი სრულად არ მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას. კერძოდ, რამდენიმე დოკუმენტის ინგლისურენოვანი ვერსია არ იყო ხელმისაწვდომი.

17 ივნისს (პირველ დღეს) გაიმართა შეხვედრები უნივერსიტეტის რექტორთან, პრორექტორებთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, მმართველ საბჭოსთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, დეკანებთან, ადმინისტრაციული დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან.

18 ივნისს (მეორე დღეს) გაიმართა შეხვედრები პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთან, სტუდენტებთან, მათ შორის დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან. ექსპერტთა ჯგუფი გაიყო ორ ჯგუფად, იმისათვის, რომ შეხვედროდნენ მედიცინის ფაკულტეტის და სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტის წარმომადგენლებს. ექსპერტები შეხვდნენ პროგრამების ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და სტუდენტებს, მათ შორის დოქტორანტებს და კურსდამთავრებულებს (გარდა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისა).

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მოინახულეს უნივერსიტეტის პარტნიორი კლინიკები: შპს დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი და ევექსის საავადმყოფოები – სს „ვიანი“ და „კრისტინა კიელის ონკოლოგიური ცენტრი“ ქუთაისში. უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული იყო შპს დასავლეთის თანამედროვე ტექნოლოგიების რეგიონული ცენტრის მონახულებაც, თუმცა ექსპერტები დარწმუნდნენ სამედიცინო პერსონალის კომპეტენციაში და ადრე მონახულებული კლინიკების და ობიექტების ხარისხსა და საკმარის რაოდენობაში. შესაბამისად, ექსპერტებმა გამოტოვეს ბოლო ვიზიტი. მე-2 დღის ბოლოს ექსპერტები გამოემგზავრნენ თბილისში.

ვიზიტის მე-3 დღე (19 ივნისი) დაეთმო ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქ. №77 - ში, 0160, იჯარით აღებული ობიექტის მონახულებას, რომელიც მომზადებულია დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით. 19 ივნისს, ექსპერტებმა ასევე მოინახულეს პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებები. კერძოდ, შპს კანვენი, შპს აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი და ა(ა)იპ - ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი.

მესამე დღის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ჩამოაყალიბეს ვიზიტის პირველადი მიგნებები და წარუდგინეს რექტორს და უნივერსიტეტის საზოგადოების წევრებს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გადახედეს შპს ქუთაისი უნივერსიტეტის ავტორიზაციის დასკვნის პროექტს. უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გულდასმით ანალიზის შემდეგ და მივიდნენ შემდეგ საბოლოო დასკვნებამდე:

1. მხედველობაში მიიღონ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მოსაზრება და შეცვალონ რეკომენდაცია 3.3.1. რჩევით 3.3.1.
2. არ დაეთანხმონ უნიკის სხვა არგუმენტებს რეკომენდაციებთან დაკავშირებით (2.1.1.; 2.1.2.; 2.2.1.; 4.1.1.; 4.1.2.; 4.2.1.; 5.1.1., და 6.2.3.) და დატოვონ ისინი ისე, როგორც გამოქვეყნებული იყო უნიკის ავტორიზაციის დასკვნის პროექტში. ზემოხსენებული რეკომენდაციები ეფუძნება მტკიცებულებებს და შეესაბამება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG), რომლებიც მიღებულია ბოლონიის პროცესის ქვეყნების უმაღლესი განათლების მინისტრების მიერ, საქართველოს ჩათვლით.
3. ხაზი გაუსვან, რომ მოთხოვნები ხარისხის მიმართ უმაღლესი განათლების უზრუნველყოფის, კვლევისა და მომსახურების ყველა ასპექტში, ასევე ადმინისტრაციული და მართვის პროცესების გამჭვირვალობა თანაბრად უნდა იყოს დაცული ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათი მიკუთვნების მიუხედავად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

1. უსდ - ს მისია და სტრატეგიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მისია შეესაბამება საქართველოსა და ზოგადად ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის საგანმანათლებლო მიზნებს და სტანდარტის მოთხოვნებს. თუმცა, დასაქმების ბაზრის მოთხოვნები უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე უნივერსიტეტს შეუძლია ადაპტირება. და თავად უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა და პოტენციალი იყოს უფრო ძლიერი და უკეთესი. უსდ-ს შეუძლია ყურადღება გაამახვილოს სტუდენტის შემოქმედებითობაზე, ინოვაციების დანერგვის და კომერციალიზაციის შესაძლებლობებზე, ცვლილებებთან ადაპტირებაზე, მათ შორის კრიტიკულ აზროვნებაზე, გაციფრულებაზე და შესაძლებლობებზე, აგრეთვე ყველა არსებული საინფორმაციო

რესურსის და ზომების გამოყენების უნარებზე. უნივერსიტეტს შეუძლია ხელი შეუწყოს მოქნილი და ადაპტირებადი განათლების მიწოდებას. შესაბამისად, რეკომენდებულია უნივერსიტეტის მისიის პერიოდული განხილვა და განახლება.

ქუთაისის უნივერსიტეტის (2021 - 2027) სტრატეგია წარმოადგენს: მისიის განაცხადს, ღირებულებებს, ხედვას, სტრატეგიულ მიმართულებას და პრიორიტეტებს. ახსნილია სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები და განსაზღვრულია შედეგების მიღწევის ამოცანები. დოკუმენტი კარგად სტრუქტურირებული და მკაფიოა. აღნიშნული სტრატეგიის განსახორციელებლად შემუშავებულია სამოქმედო გეგმა (2023-2026). სამოქმედო გეგმა ფოკუსირებულია ქუთაისის უნივერსიტეტის ყველა სტრატეგიული პრიორიტეტის განხორციელებაზე. ზემოაღნიშნული დოკუმენტები შემუშავებულია შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით.

თუმცა, რექტორის წლიური და მონიტორინგის ანგარიშები არ იყო წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, რთული იყო სრული სურათის დანახვა და იმის გაგება, თუ რამდენად ახორციელებს უნივერსიტეტი მონიტორინგს და სტრატეგიის განხორციელების პროცესის და პროგრესის კონტროლს, მათ შორის PDCA ციკლის სრული თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას.

2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2020 წელს დამტკიცებული შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა უმეტესწილად უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას. ზემოაღნიშნული სტრუქტურის ჩამოყალიბებისას ქუთაისის უნივერსიტეტმა გაიზიარა ევროპის უნივერსიტეტის სტრუქტურა.

ქუთაისის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორების როლები არ იყო თანაბრად გადანაწილებული ყველა ძირითადი მიმართულების მოსაცავად.. მნიშვნელოვანია ვიცე - რექტორების ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარების გადახედვა და პასუხისმგებლობის გაზრდა. სასურველია სამეცნიერო მიმართულება გადავიდეს სამეცნიერო საკითხებზე პასუხისმგებელი ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაში და გაძლიერდეს კვლევის მიმართულება.

დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია და გადანაწილებულია, პერსონალმა კარგად იცის თავისი ფუნქციები. თუმცა უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა გადახედვას საჭიროებს. მოწოდებულ ორგანიზაციული სტრუქტურის გრაფიკულ გამოსახულებას აკლდა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი და გავლენიანი სტრუქტურა - გათვალისწინებული უნდა იყოს პრეზიდენტი / პარტნიორთა კრება, ფაკულტეტის საბჭოები და კვლევითი ცენტრები.

გაურკვევლობის და არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ქუთაისის უნივერსიტეტის დოკუმენტების ინგლისურენოვან თარგმანს.

ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს ძლიერი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეფუძნება PDCA პრინციპს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, პერიოდულად აფასებს თავისი მომსახურების და რესურსების ხარისხს, ავრცელებს კვლევის შედეგებს.

გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციას, იმისათვის რომ თავიდან აიცილოს შეუსაბამობები და ტექნიკური ხარვეზები დოკუმენტებში. ქუთაისის უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელების აქტიური მონაწილეობა სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის პროცედურებში.

სასურველია, უნივერსიტეტმა ორგანიზაციული ხარისხის მართვაში განიხილოს ორგანიზაციული ხარისხის მართვის მეთოდოლოგიის დანერგვის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის „ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი“ ადგენს ძირითად პრინციპებსა და ეთიკურ სტანდარტებს, რომლიც საჯაროდ ხელმისაწვდომი და სავალდებულოა ქუთაისის უნივერსიტეტის საზოგადოების ყველა წევრისთვის. უნივერსიტეტმა შეიმუშავა პლაგიატის აღმოჩენის და პრევენციის მექანიზმები. თუმცა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელოვნური ინტელექტისგან გამომდინარე პოტენციური საფრთხეებისგან დაცვის მექანიზმების შემუშავებას. აკადემიურმა პერსონალმა გამოავლინა, რომ მათთვის ცნობილია აკადემიური თავისუფლების პრინციპები; თუმცა, მნიშვნელოვანია აღნიშნული პრინციპების შესახებ სტუდენტებშიც ცნობიერების ამაღლება.

3. საგანმანათლებლო პროგრამები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ქუთაისის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განხორციელება და განვითარება რეგულირდება „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების, დამტკიცების, ცვლილებების განხორციელების და გაუქმების პროცედურების“ პოლიტიკის დოკუმენტით. ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს და დამსაქმებელს, შეუძლია მოითხოვონ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელება. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ დაესწრონ საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომებს და მათი მოსაზრება მიღებული იქნება მხედველობაში. ქუთაისის უნივერსიტეტმა გაითვალისწინა 2018 წელს ბოლო ავტორიზაციის პროცესის დროს გაცემული რეკომენდაციები.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, უმაღლესი განათლების დარგობრივი სამართლებრივი აქტები და მახასიათებლები, სხვა ნორმატიული აქტები, საერთაშორისო დოკუმენტები და კონვენციები, ასევე უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტები და ინსტრუქციები.

კრედიტების სისტემა ECTS განსაზღვრავს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო საათების რაოდენობას და მოცულობას დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამა განსაზღვრავს საათების განაწილებას პრაქტიკულ და თეორიულ სწავლებას და დამოუკიდებელ და საკონტაქტო სწავლებას შორის.

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დაწესებულებამ მკაფიოდ ჩამოაყალიბა დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს მიღების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, სწავლება - სწავლის მეთოდებს და აქტივობებს, პროგრამის მოცულობას და სტრუქტურას, შეფასების სისტემას, დასაქმების სფეროს, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.

პროგრამის თითოეული კომპონენტი შედგენილია შეფასების კრიტერიუმების, სამუშაო საათების და აკადემიური პერსონალის განაწილების შესაბამისად. გამოყენებულია თანამედროვე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები, რომლებიც ადეკვატურად შეესაბამება სწავლის შედეგებს.

სწავლების ინოვაციური მეთოდების სასწავლო ცენტრი (2020) აწყობს სხვადასხვა ვორქშოფებს და სასწავლო სემინარებს აკადემიური პერსონალის თეორიული კომპეტენციის და პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების მიზნით.

თუმცა, მიუხედავად დაწესებულების ძალისხმევისა, ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად გაზარდოს ენის კურსის კრედიტების რაოდენობა, მაინც უნდა აღინიშნოს ენობრივი ბარიერი განსაკუთრებით დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში, სადაც სტუდენტებს უწევთ მჭიდრო კონტაქტის დამყარება ქართველ პაციენტებთან.

ქუთაისის უნივერსიტეტის შეფასების სისტემა რეგულირდება „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, რომელიც უკავშირდება პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. ამრიგად, შეფასება ეფუძნება შუალედურ და საბოლოო შეფასებებს, საბოლოო შეფასება, რომელიც აღემატება მთლიანი შეფასების 40%-ს. დაწესებულება იყენებს შეფასების მრავალ მეთოდს, რომელიც არის ყოვლისმომცველი, თანამედროვე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა, პორტფოლიო, ქვიზი, ზეპირი გამოკითხვები, კლინიკური მოვალეობები... და ა.შ.).

გამსვლელი ბარიერი მკაფიოდ არის განსაზღვრული შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების ჯამით და დასკვნით გამოცდაზე დადგენილი მინიმალური ზღვარი, რომელიც უნდა იყოს 51 ქულა ან მეტი. ეს უკანასკნელი შესაძლოა შეესაბამებოდეს ეკონომიკას და სამართალს. თუმცა, შესაძლებელია, რომ უნივერსიტეტმა იმსჯელოს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისთვის განსაზღვრული ბარიერის შესაბამისობის შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად ახორციელებს შეფასების მეთოდების შეფასებას, იმისათვის რომ უზრუნველყოს სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად (2020). აღნიშნული შეფასება იყენებს პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს.

4. **უსდ - ის პერსონალი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს და ახორციელებს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 12 აგვისტოს N1 დადგენილებით.

აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით და მოიცავს 2 ეტაპს: განაცხადების შერჩევა და შერჩეული კანდიდატის მიერ პირველ ეტაპზე საჩვენებელი ლექციის ჩატარება და კანდიდატის შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის ჩართულობას საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შპს ქუთაისის უნივერსიტეტი სისტემატურად აფასებს თავის პერსონალს და აანალიზებს შეფასების შედეგებს, ასევე რეგულარულად ატარებს თანამშრომლების გამოკითხვებს მათი ორგანიზაციით კმაყოფილების დასადგენად.

მიუხედავად იმისა, რომ მოიძებნა სამეცნიერო პერსონალის შეფასების მეთოდი, რეკომენდებულია სამეცნიერო პერსონალის შეფასების მარეგულირებელი წესის დამატება. რეკომენდებულია აფილირებული აკადემიური პერსონალის წილის გაზრდა და აკადემიური პერსონალის / სტუდენტის თანაფარდობის დაგეგმვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება.

უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, იმისათვის რომ უზრუნველყოს თითოეულ პროგრამაზე შესაბამისი აკადემიური პერსონალის ადექვატური რაოდენობა. უნივერსიტეტმა მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს პერსონალის სამიზნე ნიშნულების გასაუმჯობესებლად, იმისათვის რომ ეფექტურად განახორციელოს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა. უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების ჩართულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და ეხმარება მათ შექმნან ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

5. **სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

შპს უნივერსიტეტი არეგულირებს სტუდენტის სტატუსის მოპოვების და შეცვლის, განათლების აღიარების და სტუდენტის უფლებების წესებს და შეიმუშავებს საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამის სამართლებრივ აქტებს. თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებების შედეგად დასტურდება, რომ ქუთაისის უნივერსიტეტი ეფექტურად უზრუნველყოფს სამართლებრივ და ეფექტურ პროცედურებს სტუდენტების უფლებების დასაცავად და შეუფერხებელი სასწავლო გამოცდილების უზრუნველსაყოფად.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი, წელიწადში ორჯერ იძლევა სტუდენტების მობილობის შესაძლებლობას, ასევე შიდა მობილობის შესაძლებლობას წელიწადში ორჯერ ერთსა და იმავე დროს. ქუთაისის უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებას და დასაქმებას. უსდ ახორციელებს კარიერული მხარდაჭერის სერვისებს და დამყარებული აქვს ურთიერთობა პარტნიორებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. გარდა ამისა, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ფსიქოლოგიურ მომსახურებას, ხელს უწყობს სტუდენტის ადაპტაციას და უზრუნველყოფს მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას. შპს ქუთაისის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ყველა საჭირო სერვისის შესაბამის მიწოდებას. სტუდენტები ფაკულტეტის პერსონალისგან იღებენ ადეკვატურ კონსულტაციას და მხარდაჭერას.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი ყველა სტუდენტს უზრუნველყოფს ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებით და ბევრმა სტუდენტმა ისარგებლა ფინანსური შეღავათებით. დამატებით, შპს ქუთაისის უნივერსიტეტი სტიპენდიის მისაღებად სტუდენტების წახალისების მიზნით უზრუნველყოფს შესაბამის პირობებს.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა აამოქმედა რამდენიმე პროექტი, რომელშიც აქტიურად ჩართო სტუდენტები. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა ინსტიტუციურ პროექტში, რომელიც ყველაზე განვითარებულია საქართველოში.

6. **კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

ქუთაისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტი ცდილობს დიდი ყურადღება მიაქციოს სამეცნიერო და კვლევითი პროცესის ხელშეწყობას. უნივერსიტეტს აქვს ორი კვლევითი ინსტიტუტი: ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი და მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი.

ქუთაისის უნივერსიტეტი 2006 წლიდან ბეჭდური სახით გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს „ეკონომიკური პროფილი“ (ISSN – 1512 - 3901), ხოლო 2017 წლიდან ელექტრონული სახით (eISSN – 2587-5310). ჟურნალს აქვს ღია წვდომა.

ამჟამად ქუთაისის უნივერსიტეტი ახორციელებს მხოლოდ ერთ სადოქტორო პროგრამას - ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა.

მიუხედავად იმისა რომ, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა მოამზადა არაერთი საგრანტო განაცხადი, მათი უმრავლესობა არ დაფინანსდა, რაც საჭიროებს ყურადღების გამახვილებას პრობლემის მიზეზის იდენტიფიცირებაზე და გამოსავლის მოძიებაზე.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი. ცენტრი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის ინფორმაციის გაზიარებას ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კვლევითი საგრანტო კონკურსების, საერთაშორისო ინდივიდუალური სტიპენდიების კონკურსების შესახებ. რეგულარულად ატარებს ტრენინგებს, სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრებს. უნივერსიტეტი აფინანსებს სტატიების გამოქვეყნებას ფასიან საერთაშორისო ჟურნალებში. ცენტრი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, შედეგების შეფასების, მიგნებების ანალიზის და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის გაძლიერების საჭიროებების გამოვლენის მიზნით.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი ფლობს და ექსპლოატაციას უწევს სპეციალურ საგანმანათლებლო შენობას, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, 4600, ა. წერეთლის ქ. N13 - ში. შენობა უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ ინფრასტრუქტურას მისი აკადემიური მისიის მხარდაჭერის მიზნით. შენობის ფართობი მოიცავს 2730.01 კვ.მ - ს, მკაფიოდ გადანაწილებული ფართებით, როგორც სასწავლო, ასევე დამხმარე მიზნებისთვის. ობიექტი აღჭურვილია მედიცინის, სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც ფუნქციონირებენ მითითებულ ცენტრალურ ობიექტზე. ხელმისაწვდომია ქიმიის, ბიოქიმიის, ჰისტოლოგიის, პათოლოგიის, მიკრობიოლოგიის, იმუნოლოგიის და ფიზიოლოგიის სპეციალიზებული ლაბორატორიები.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ყოვლისმომცველი ინფრასტრუქტურა, მკაცრი უსაფრთხოების სტანდარტები და მუდმივი გაუმჯობესების ვალდებულება უზრუნველყოფს აკადემიურ პროგრამებთან და სტუდენტური ჯგუფების საჭიროებებთან შესაბამისობას. ობიექტების რეგულარულ რეჟიმში განახლებით და უკუკავშირზე რეაგირებით, უნივერსიტეტი ინარჩუნებს განათლების და მხარდაჭერის მაღალ სტანდარტს, რომელიც შეესაბამება მის მისიას და სტრატეგიულ მიზნებს.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიზანს წარმოადგენს, სტუდენტების და პერსონალისთვის ყოვლისმომცველი და მხარდამჭერი გარემოს უზრუნველყოფა. სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით, ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან სერვისებს და შესაძლებლობებს. ბიბლიოთეკის ორივე ლოკაცია (ქუთაისი, თბილისი) შექმნილია მომხმარებლის მრავალფეროვანი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, სამკითხველო, სასწავლო და ერთობლივი მუშაობისთვის განკუთვნილი ფართო სივრცის უზრუნველყოფით. სამუშაო საათები უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსებზე სტუდენტების საკმარის წვდომას მთელი კვირის განმავლობაში.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს კომპიუტერული და საინფორმაციო რესურსების ეფექტურ გამოყენებას და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობების პროცესში ინფორმაციული უსაფრთხოების შენარჩუნებას.

უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქართულ და ინგლისურ ენაზე წარმოდგენილია საკონტაქტო ინფორმაცია, საგანმანათლებლო პროგრამების დეტალები, ინფორმაცია პერსონალის შესახებ და მარეგულირებელი დოკუმენტები. აღნიშნული ელექტრონული სერვისების და სისტემების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური ახორციელებს პერიოდულ მონიტორინგს და წარადგენს ანგარიშებს გამოვლენილი ხარვეზების შესახებ.

უნივერსიტეტის 2023 -2024 წლების ბიუჯეტის თანახმად, შემოსავალი შეადგენს 2 283 050 ლარს. ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს დეცენტრალიზებული ბიუჯეტი, რომელიც ჩამოყალიბებულია მისი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ვრცელი შენატანებით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის განხორციელების წესი“. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთის შეიმუშაოს დეტალური ბიუჯეტი, იმისათვის რომ ზუსტად ასახოს პროგრამებთან დაკავშირებული ფინანსური რეალობები.

რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ საფუძვლიანად გადახედოს ორგანიზაციულ სტრუქტურას. გარდა ამისა, აღნიშნული მიმოხილვა უნდა ითვალისწინებდეს სტრუქტურის გრაფიკულ გამოსახულებაში პრეზიდენტის, ფაკულტეტის საბჭოების და კვლევითი ცენტრების ასახვას.

2.1.2. რეკომენდებულია, ქუთაისის უნივერსიტეტის დოკუმენტებში და მართვის სტრუქტურაში განისაზღვროს პრეზიდენტის თანამდებობა, უფლებამოსილება, ფუნქციები და პასუხისმგებლობა.

2.2.1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელების აქტიური მონაწილეობა სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის პროცედურებში.

4.1.1. რეკომენდებულია პერსონალის შეფასების წესებს/რეგულაციებს დაემატოს სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი.

4.1.2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის წილი, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის რეიტინგის და სამეცნიერო იმიჯის გაზრდას, სასწავლო პროცესის და კვლევითი საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.

4.2.1. რეკომენდებულია პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება, რათა თითოეულ პროგრამაზე უზრუნველყოფილ იქნას პროფესორების, ასოცირებული პროფესორების და ასისტენტ-პროფესორების შესაბამისი რაოდენობა. უნივერსიტეტმა მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს პერსონალის სამიზნე ნიშნულების გასაუმჯობესებლად, იმისათვის რომ ეფექტურად განახორციელოს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის/ სტუდენტების თანაფარდობის დაგეგმვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

5.1.1. რეკომენდებულია და აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, ყველა სტუდენტის ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მათი უფლებების შესახებ.

6.1.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გამოიკვლიოს საგრანტო განაცხადების უმეტესი ნაწილის უარყოფის მიზეზები და მიიღოს ზომები აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად.

6.2.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაამლიერეს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი, კერძოდ, გააქტიუროს საერთაშორისო თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები.

6.2.2. რეკომენდებულია, კვლევით პროექტებში და ნაშრომებში შედარებითი კვლევის კომპონენტის გაძლიერება.

6.2.3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აკადემიურ პერსონალს შესთავაზოს მათი მოღვაწეობის სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო აქტივობები.

7.4.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთის შეიმუშაოს დეტალური ბიუჯეტი, იმისათვის რომ ზუსტად ასახოს პროგრამებთან დაკავშირებული ფინანსური რეალობები.

რჩევები

1.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის პერიოდისთვის განიხილოს და გადახედოს მისიის განაცხადის შესაბამისობას.

1.2.1. სასურველია, უნივერსიტეტის წლიური და სამოქმედო გეგმები, ასევე რექტორის შესაბამისი ანგარიშები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ინგლისურ ენაზეც.

2.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა სტრატეგიის მიხედვით თანაბრად გადაანაწილოს ვიცე - რექტორების სამუშაო აღწერილობა.

2.1.2. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს უმაღლესი დონის ხელმძღვანელების დატვირთვის რეგულარული შეფასება, რომლებსაც უკავიათ არაერთი ადმინისტრაციულ თანამდებობა, იმისათვის რომ, დაწესებულება დარწმუნდეს რომ ისინი არ არიან გადატვირთულები.

2.1.3. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და ხელს უწყობს სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს მისი ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში.

2.1.4. სასურველია, დაწესებულებამ გამოაქვეყნოს ქუთაისის უნივერსიტეტის რეალური ისტორია დაარსებიდან დღემდე, მათ შორის ინფორმაცია ევროპულ უნივერსიტეტთან ურთიერთობის შესახებ.

2.1.5. სასურველია, ქუთაისის უნივერსიტეტმა ყურადღება გაამახვილოს დოკუმენტების ინგლისურენოვან თარგმანზე, ბუნდოვანების და არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით.

2.2.1. სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს სრულად გაციფრულებული პროცესების დანერგვა მონაცემების ინტერპრეტაციის და ანგარიშების მომზადების ეფექტურობის და სიზუსტის ოპტიმიზაციის მიზნით.

2.2.2. სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს შიდა რეგულაციებს, იმისათვის რომ, თავიდან აიცილოს დოკუმენტებში შეუსაბამობები და ტექნიკური შეცდომები.

2.2.3. სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს პროცესების მართვის მეთოდოლოგიის დანერგვა ორგანიზაციის ხარისხის მართვაში.

2.3.1. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ სტუდენტების ცნობიერების ამაღლება. ასევე, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა სტუდენტური ომბუდსმენის პოზიციის შექმნა, იმისათვის რომ ხელი შეეწყოს სტუდენტების კონსულტაციას, დახმარების გაწევას, სტუდენტების ინტერესების, უფლებების და თავისუფლებების დაცვას და ა.შ.

2.3.2. სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს მექანიზმები, ხელოვნური ინტელექტით გამოწვეული პოტენციური საფრთხეების არიდების მიზნით.

3.2.1. სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომები უცხოელი სტუდენტების მიერ ქართული ენის შესწავლის გაუმჯობესების მიზნით, როგორიც არის კლასგარეშე აქტივობები, იმისათვის რომ გააუმჯობესოს მათი ინტეგრაცია და სწავლის გამოცდილება, განსაკუთრებით ქართულ სამედიცინო დაწესებულებებში.

3.3.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს 51% - ით განსაზღვრული გამსვლელი ბარიერის გაზრდა მედიცინის სფეროში. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ დიპლომირებული

მედიკოსის სწავლის შედეგების მიღწევა ასახავდეს იმ მოსახლეობის ჯანმრთელობის სასურველ შედეგებს, რომელსაც იგი მოემსახურება მომავალში.

6.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პლაგიატის შეფასების უფრო მკაფიო კრიტერიუმები, ასევე კრიტერიუმები სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების თავიდან აცილების მიზნით.

6.2.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სტუდენტებისთვის კვლევითი სასწავლო აქტივობების გაძლიერება და მათი უფრო მეტად სისტემატიზაცია.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

არ ეხება

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შესაბამისობა მია**	**მეტწილად შესაბამისობა მია**	**ნაწილობრივ შესაბამისობა მია**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.	**უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	**უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილების და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსი	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსი	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ვაიდოტას ვილიუნასი (თავმჯდომარე)
2. სალმა სოუსი (თანათავმჯდომარე)
3. ქეთევან აფთარაშვილი (წევრი)
4. ია ნაცვლიშვილი (წევრი)
5. თამარ ბერიშვილი (წევრი)
6. ხათუნა საგანელიძე (წევრი)
7. ბექა ბენდელიანი (წევრი)

ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობა

1. უსდ - ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მისია აცხადებს და განსაზღვრავს მის როლს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში: • საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის და ცოდნის მქონე კადრების მომზადება, რომლებსაც ექნებათ შესაძლებლობა ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობით საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოების და შესაბამისი სფეროს განვითარებაში, ასევე ეკონომიკის რეკონსტრუქციაში; • ადგილობრივ დონეზე აკადემიური საზოგადოების გაძლიერება, ახალი ცოდნის გენერირების და გაზიარების ხელშეწყობა, როგორც უნივერსიტეტის რესურსების, ასევე რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მისია საკმაოდ ზოგადად არის ჩამოყალიბებული, რომელიც არ აღწერს უსდ - ს მახასიათებლებს და არ განსაზღვრავს მის ტიპს / პროფილს და მის ძირითად აკადემიურ მიმართულებებს, რაც მიუთითებს შემდგომი ინსტიტუციური განვითარების საჭიროებაზე. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მისია არა მხოლოდ გაზიარებულია უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ, არამედ წარმოადგენს უნივერსიტეტის გუნდის მნიშვნელოვან გამაერთიანებელ ფაქტორს, როგორც ეს აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში და დადასტურდა სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებების შედეგად. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მისია ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მისია შეესაბამება საქართველოს და ზოგადად ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის საგანმანათლებლო მიზნებს და სტანდარტის მოთხოვნებს. თუმცა, უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა და პოტენციალი იყოს უფრო ძლიერი და უკეთესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, დაწესებულებამ პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილოს ადამიანებზე, სტუდენტებზე და აკადემიურ პერსონალზე და მათ მომავალზე საკუთარი პიროვნების, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნისა და ევროპის განვითარების კონტექსტში. ვინაიდან დასაქმების სამყაროს მოთხოვნები უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე უნივერსიტეტს შეუძლია ადაპტირება, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განვითარება ან განახლება. შესაბამისად, იმისათვის რომ მათ შეძლონ ზემოაღნიშნულ გარემოში მოქმედება აუცილებელია ყურადღების გამახვილება სტუდენტების ყველაზე მნიშვნელოვან სწავლის შედეგებზე - შემოქედებითობის კომპეტენციებზე, ინოვაციების განხორციელებისა და კომერციალიზაციის შესაძლებლობებზე, ცვლილებების და კრიტიკული აზროვნების ადაპტირებასა და მდგრადობაზე, გაციფრულებაზე და შესაძლებლობებზე, აგრეთვე ყველა ხელმისაწვდომი საინფორმაციო რესურსების გამოყენების უნარებზე, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებზე და ღონისძიებებზე. მოქნილი და ადაპტირებადი უმაღლესი განათლება წარმოადგენს გლობალურ ტენდენციას. ამიტომ, სასურველია განხორციელდეს უნივერსიტეტის მისიის განაცხადის პერიოდული განხილვა და განახლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართებით;

- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მისიის განაცხადი; https://www.unik.edu.ge/Mission; https://www.unik.edu.ge/PagePDF/4336a28a7b9724f1e6a28afb7055a6cb.pdf
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგია (2020);
- ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

1.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის პერიოდისთვის განიხილოს და გადახედოს მისიის განაცხადის შესაბამისობას.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ - ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას,
  ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ქუთაისის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 2021 - 2027 წლების სტრატეგია, რომელიც დამტკიცებულია მმართველი საბჭოს მიერ 29-12-2020. სტრატეგიაში წარმოდგენილია ასეთი დოკუმენტების ყველა შესაბამისი კომპონენტი: მისიის განაცხადი, ღირებულებები, ხედვა, სტრატეგიული მიმართულება და პრიორიტეტები. ახსნილია სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები და განსაზღვრულია შედეგების მიღწევის ამოცანები. დოკუმენტი კარგად არის სტრუქტურირებული და მკაფიოა. ზემოაღნიშნული სტრატეგიის განხორციელების მიზნით შემუშავებულია 2023 - 2026 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგია სამოქმედო გეგმასთან ერთად მოიცავს უნივერსიტეტის ფუნქციონირების ყველა ძირითად ასპექტს, კერძოდ, ინსტიტუციურ განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და მიწოდების უზრუნველყოფას, სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვას, კვლევის მიმართულებებს და დაფინანსებას, ადამიანურ რესურსებს და ფინანსებს, სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისებს და ინფრასტრუქტურას. სამოქმედო გეგმა იყოფა მისიებად და კონკრეტულ ღონისძიებებად, რაც მიზნად ისახავს ქუთაისის უნივერსიტეტის ყველა სტრატეგიული პრიორიტეტის განხორციელებას. სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს, როდის უნდა დაიწყოს და დასრულდეს შესაბამისი ღონისძიებები. სამოქმედო გეგმა აღწერს პასუხისმგებელ და მხარდამჭერ მხარეებს / ერთეულებს, შესაძლო რისკებს და რესურსების წყაროს, განმარტავს ღონისძიების შინაარსს და შედეგს და მიუთითებს გადამოწმების და ფინანსურ წესებს. დაგეგმილი შედეგები მიღწევადი, დროში გაწერილი და გაზომვადია.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად (მმართველი საბჭოს დადგენილება N4. 9 - 11 - 2020), უნივერსიტეტის საზოგადოება, მათ შორის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და ძირითადი დაინტერესებული მხარეები ჩართულნი იყვნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უნივერსიტეტის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტს შეაქვს წვლილი რეგიონული საზოგადოების განვითარებაში და სთავაზობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობებს. უნივერსიტეტმა, IX - XII

კლასების მოსწავლეებისთვის ჩამოაყალიბა საკვირაო სკოლა მათემატიკასა და კომპიუტერულ მეცნიერებებში, უფასო პროფესიული მასწავლებლების ტრენინგები. მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი სკოლის ახალ მოდელთან დაკავშირებით (2020-2021), ხოლო სასწავლო მოდულები ეხებოდა საკვალიფიკაციო გამოცდებს, ასევე კვლევას და მდგრადი განვითარების საკითხებს 2022 წლიდან. ქუთაისის უნივერსიტეტმა 48 სკოლის 507 მასწავლებელს ჩაუტარა უფასო ტრენინგები ზემოთ აღნიშნულ თემატურ საკითხებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტმა 2023 - 2024 სასწავლო წელს 5 საჯარო სკოლას შესთავაზა ახალი ტრენინგ მოდული „შეფასება სკოლაში - შეფასების ინსტრუმენტები და სტრატეგიები“ (დაესწრო 24 მასწავლებელი). ქუთაისის უნივერსიტეტი ხსნის ჩინური ენის უფასო კურსებს კოლეჯ "იბერიაში" და ქუთაისის კერძო სკოლა "პროგრესში". ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი და/ან ხელმისაწვდომი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტები იძლევა ვარაუდის საშუალებას, რომ უნივერსიტეტს შეუძლია უზრუნველყოს დაგეგმილი შედეგების მიღწევა. თუმცა, 2021 - 2023 და 2022 - 2024 წლების სამოქმედო გეგმები, ისევე როგორც შესაბამისი განხორციელების მონიტორინგის ანგარიშები და ძირითადი შესრულების ინდიკატორები, არ იყო წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, რთული იყო სრული სურათის დანახვა და იმის გაგება, თუ რამდენად ახორციელებს უნივერსიტეტი მონიტორინგს და სტრატეგიის განხორციელების პროცესის და პროგრესის კონტროლს, მათ შორის PDCA ციკლის სრული თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას. უმაღლესი განათლება გათვალისწინებულია როგორც საზოგადოებრივი სიკეთე და, შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ინფორმაცია და განათლების მიმწოდებლის სტრატეგია საჯაროდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი მიუხედავად დაწესებულების საკუთრებისა (საჯარო თუ კერძო), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უნივერსიტეტი აცხადებს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები; • შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგია (2020); • ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და დამსაქმებლებთან; • შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.unik.edu.ge/
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: 1.2.1. სასურველია, უნივერსიტეტის წლიური და სამოქმედო გეგმები, ასევე რექტორის შესაბამისი ანგარიშები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ინგლისურ ენაზეც.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2. 2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ - ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის უნივერსიტეტის დებულება (დამტკიცებულია რექტორის №260 16 - 07 - 2020 ბრძანებით) განსაზღვრავს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მართვის პრინციპებს და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებას. აღნიშნული დოკუმენტი საკმაოდ კარგად არის შემუშავებული და განმარტავს უსდ -ს სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ყველა ხელმძღვანელი პოზიციის და სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებს და პასუხისმგებლობას, გარდა დაწესებულების პრეზიდენტისა.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა უმეტესწილად უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას. 2020 წელს დამტკიცდა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ახალი სტრუქტურა. უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ახალი სტრუქტურის შემუშავებისას ქუთაისის უნივერსიტეტმა გაიზიარა ევროპის უნივერსიტეტის სტრუქტურა, რომელიც ახორციელებს უმაღლესი განათლების პროგრამებს (სადოქტორო პროგრამების გარდა). შესაბამისად, 2021 -2027 წლების სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში გამოიკვეთა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება – „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია“, თუმცა ორგანიზაციულ სტრუქტურაში კვლევითი მიმართულება არ არის სათანადოდ განსაზღვრული.

ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ვიცე - რექტორების როლები არ არის თანაბრად გადანაწილებული და არ მოიცავს ყველა ძირითად მიმართულებას. უნივერსიტეტს ჰყავს სამი ვიცე-რექტორი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან აკადემიურ, ხარისხის უზრუნველყოფის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებებზე. აღნიშნული მიმართულების სტრუქტურულ ერთეულებს ხელმძღვანელობენ ვიცე-რექტორები. უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გარდა, რომელიც შეიმუშავებს და ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ატარებს შესაბამის კვლევებს, აანალიზებს კვლევის შედეგებს და სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს გასაუმჯობესებელ მხარეებზე, კიდევ ორი სტრუქტურული ერთეული (სწავლების ინოვაციური მეთოდების სასწავლო ცენტრი და სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი) არის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებაზე პასუხისმგებელი ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაში. მნიშვნელოვანია ვიცე - რექტორების ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარების გადახედვა და პასუხისმგებლობის გაზრდა. მაგალითად, სასურველია, სამეცნიერო მიმართულება გადავიდეს სამეცნიერო საკითხებზე პასუხისმგებელი ვიცე - რექტორის დაქვემდებარებაში და გაძლიერდეს კვლევითი მიმართულება.

დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია და გადანაწილებულია, პერსონალმა კარგად იცის თავისი ფუნქციები. თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტი მოიცავს მართვის სამივე დონის ფუნქციებს და სამუშაოს აღწერილობებს (ზედა, საშუალო, დაბალი). მაღალი დონე მოიცავს პარტნიორთა კრებას, პრეზიდენტს, რექტორს, ვიცე -რექტორებს და ფაკულტეტის დეკანებს. მიუხედავად აღნიშნულისა, უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა საჭიროებს გადახედვას. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი ორგანო არ არის წარმოდგენილი ამჟამინდელი სტრუქტურის გრაფიკულ გამოსახულებაში. კერძოდ, ის უნდა მოიცავდეს პრეზიდენტს/პარტნიორთა კრებას, ფაკულტეტების საბჭოებს და კვლევით ცენტრებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სტრუქტურის ვიზუალური გამოსახულების გადახედვა, იმისათვის რომ,

აცილებული იყოს ტექნიკური უზუსტობები სტრუქტურული ერთეულების იერარქიაში (მაგალითად, ურთიერთმიმართება ფაკულტეტსა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს შორის).

„ქუთაისის უნივერსიტეტის დებულება“, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (https://unik.edu.ge/PagePDF/87060b195f57ddbe459a3ec220889bf3.pdf), ასახვას თითქმის ანალოგიურ მაგრამ არა იგივე სტრუქტურას და შინაარსს, როგორც ეს არის წარმოდგენილი ქუთაისის უნივერსიტეტის რეგულაციაში.(დამტკიცებულია რექტორის №260 16 - 07 - 2020 ბრძანებით). დებულებაში გამოყენებული ტერმინოლოგია ოდნავ განსხვავდება რეგულაციისგან. თუ რეგულაცია განსაზღვრავს სამ ვიცე - რექტორს, დებულებაში აღნიშნულია ოთხი ვიცე - რექტორი. ქუთაისის უნივერსიტეტის რეგულაციაში გამოყენებულია მმართველი საბჭოს სახელწოდება, ხოლო უნივერსიტეტის დებულებაში - დირექტორთა საბჭო. ორივე ერთეულის ფუნქციები და პასუხისმგებლობები თითქმის ანალოგიურია.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოება შეიძლება წარმოადგენდეს თარგმანის უზუსტობის შედეგს. თუმცა, ასეთმა შეცდომებმა შეიძლება გამოიწვიოს გაურკვევლობა და შეამციროს დაწესებულების სანდოობა საერთაშორისო პარტნიორების წინაშე.

გასაუბრებების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ რამდენიმე უმაღლესი დონის ხელმძღვანელი, როგორც ქუთაისის უნივერსიტეტში, ასევე ევროპის უნივერსიტეტში, იკავებს რამდენიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას. თუმცა, პერსონალის წევრები ირწმუნებიან, რომ ისინი არ არიან გადატვირთულები და საჭიროების შემთხვევაში, იყენებენ ონლაინ სამუშაო ფორმატს თავიანთი პასუხისმგებლობების ეფექტურად მართვისთვის.

უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებში დანიშვნის ან არჩევის პროცედურები გამჭვირვალეა, სამართლიანი და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. უნივერსიტეტს აქვს კარგად დაცული მონაცემთა ბაზა. უნივერსიტეტის სტრუქტურა უშვებს არჩევითი და დანიშნული პოზიციების არსებობას. სხვადასხვა რანგის თანამშრომელთან შეხვედრებისას აღინიშნა, რომ ისინი დარწმუნებულები არიან უნივერსიტეტის დასაქმების პროცედურის სამართლიანობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება განახორციელებს სასწავლო პროცესს თბილისში, სადაც წარმოდგენილი იქნება იგივე უმაღლესი ხელმძღვანელობა, ასევე გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულება გეგმავს ადმინისტრაციული პერსონალის დამატებასაც.

ქუთაისის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში მიმდინარე ყველა ძირითადი ბიზნესპროცესის უწყვეტობას. გეგმა ითვალისწინებს ყველა შესაძლო რისკს, მათი პრევენციის მექანიზმებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი პრევენცია შეუძლებელია, ქუთაისის უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს რისკის შემცირების სტრატეგია. დაწესებულების მმართველობა იყენებს დოკუმენტების დამუშავების ელექტრონულ სისტემას და აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს, როგორც ეს არის აღწერილი მოქმედ კანონმდებლობაში.

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის მისია და მიზნები, თავის ხელმძღვანელობასთან ერთად მხარს უჭერს დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს. ქუთაისის უნივერსიტეტი ახერხებს დიდი რაოდენობით საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვას, ძირითადად, მედიცინის მიმართულებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და ხელს უწყობს სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო მობილობას; ქუთაისის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 21 ქვეყნის 61 უნივერსიტეტთან, რომელთაგან 37 ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მდებარეობს. ქუთაისის უნივერსიტეტი, ძირითადად ინტერნაციონალიზაციის აქტივობებს გეგმავს სწავლება-სწავლის და კლასგარეშე მიმართულებებით. შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობა (იხ. 6.2 კომპონენტის "კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია" აღწერა და შეფასება).

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რეგულაციები;

- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დებულება, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (https://unik.edu.ge/PagePDF/87060b195f57ddbe459a3ec220889bf3.pdf);
- ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს დებულება;
- ევროპის უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭოს წესდება;
- პერსონალის შერჩევის წესი;
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;
- ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, მისი განხორციელების და შეფასების მექანიზმები;
- უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი; შიდა - ინსტიტუციური ხელშეკრულებები;
- ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და დამსაქმებლებთან;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; https://www.unik.edu.ge/

რეკომენდაციები:

2.1.1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ საფუძვლიანად გადახედოს თავის ორგანიზაციულ სტრუქტურას. გარდა ამისა, აღნიშნული მიმოხილვა უნდა ითვალისწინებდეს სტრუქტურის გრაფიკულ გამოსახულებაში პრეზიდენტის, ფაკულტეტის საბჭოების და კვლევითი ცენტრების ასახვას.

2.1.2. რეკომენდებულია, ქუთაისის უნივერსიტეტის დოკუმენტებში და მართვის სტრუქტურაში განისაზღვროს პრეზიდენტის თანამდებობა, უფლებამოსილება, ფუნქციები და პასუხისმგებლობა.

რჩევები:

2.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა სტრატეგიის მიხედვით თანაბრად გადაანაწილოს ვიცე - რექტორების სამუშაო აღწერილობა.

2.1.2. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს უმაღლესი დონის ხელმძღვანელების დატვირთვის რეგულარული შეფასება, რომლებსაც უკავიათ არაერთი ადმინისტრაციულ თანამდებობა, იმისათვის რომ, დაწესებულება დარწმუნდეს რომ ისინი არ არიან გადატვირთულები.

2.1.3. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და ხელს უწყობს სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს მისი ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში.

2.1.4. სასურველია, დაწესებულებამ გამოაქვეყნოს ქუთაისის უნივერსიტეტის რეალური ისტორია დაარსებიდან დღემდე, მათ შორის ინფორმაცია ევროპულ უნივერსიტეტთან ურთიერთობის შესახებ.

2.1.5. სასურველია, ქუთაისის უნივერსიტეტმა ყურადღება გაამახვილოს დოკუმენტების ინგლისურენოვან თარგმანზე, ბუნდოვანების და არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.2 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- ○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ - ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ - ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- ○ უსდ - ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს მტკიცე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე პრინციპის მიხედვით (PDCA). დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, პერიოდულად აფასებს თავისი მომსახურების და რესურსების ხარისხს, ავრცელებს კვლევის შედეგებს.

ექსპერტთა ჯგუფმა თვითშეფასების ანგარიშის და სხვადასხვა გასაუბრებების საფუძველზე შენიშნა, რომ აღნიშნული მექანიზმი ძირითადად ეფუძნება ხარისხის გაუმჯობესებას. უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის რესურსებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტური განხორციელების მხარდაჭერის მიზნით, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის და რესურსების მუდმივ შეფასებას და განვითარებას. აღნიშნული მოიცავს SurveyMonkey - ის პლატფორმის გამოყენებას გამოკითხვებისთვის, თუმცა ასევე გამოიყენება კვლევის მონაცემების ინტერპრეტაციისა და ანგარიშის მომზადების მექანიკური პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს დიდი რაოდენობით მონაცემებს. აღნიშნული მიმართულებით გაციფრულება გაზრდის ეფექტურობას და ეფექტიანობას.

თვითშეფასების ანგარიში და გასაუბრების შედეგები აჩვენებს, რომ დასახული მიზნების მისაღწევად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. უნივერსიტეტის პერსონალთან ხარისხის კულტურის განხილვისას, აღნიშნული აღწერილ იქნა, როგორც შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილი, რომლიც მიჩნეულია პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობად.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის კარგად განსაზღვრული მექანიზმი, რომელიც ხელმძღვანელობს დადგენილი მეთოდოლოგიებით და ინსტიტუციური სამიზნე ნიშნულებით. აღნიშნული სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის რესურსების შეფასების საფუძველზე, თითოეული პროგრამის მიხედვით გამოითვლება სტუდენტების რაოდენობა, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ეფექტურად და ეფექტიანად მოემსახურება უნივერსიტეტი. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულია და მოქმედებს „სტუდენტური კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა“. უსდ პერიოდულად ახორციელებს მონიტორინგს, თუმცა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროცესში პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობა, როგორც განსაზღვრულია აღნიშნულ მეთოდოლოგიაში.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტში ამჟამინდელი სტუდენტური კვოტა შეადგენს 900 სტუდენტს. ხელახალი ავტორიზაციის მიზნით, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს კვოტის გაზრდას 1500 სტუდენტამდე. უნივერსიტეტმა ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად წარმოადგინა სტუდენტური კონტინგენტის გაანგარიშების და მონიტორინგის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს შიდა რეგულაციებს, იმისათვის რომ, თავიდან აიცილოს დოკუმენტებში შეუსაბამობები და ტექნიკური შეცდომები (მაგალითად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის (ან შპს) მმართველი საბჭოს დებულება. მუხლი 2. ტერმინთა განმარტება: ა) საბჭოს აკადემიური წევრი - ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი; და ბ) საბჭოს კურსდამთავრებული წევრი - ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა;
სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
სტუდენტთა კონტიგენტის მონიტორინგის პროცედურა;
აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები;
გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

2.2.1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელების აქტიური მონაწილეობა სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის პროცედურებში.

რჩევები:

2.2.1. სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს სრულად გაციფრულებული პროცესები მონაცემების ინტერპრეტაციის და ანგარიშების მომზადების ეფექტურობის და სიზუსტის ოპტიმიზაციის მიზნით.

2.2.2. სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს შიდა რეგულაციებს, იმისათვის რომ, თავიდან აიცილოს დოკუმენტებში შეუსაბამობები და ტექნიკური შეცდომები.

2.2.3. სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს პროცესების მართვის მეთოდოლოგიის დანერგვა ორგანიზაციის ხარისხის მართვაში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის „ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი“ განსაზღვრავს რამდენიმე ძირითად პრინციპს და ეთიკურ სტანდარტებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა უნივერსიტეტის პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. პერსონალმა და სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ კოდექსი საჯაროდ ხელმისაწვდომია; პერსონალმა ასევე დაადასტურა, რომ კოდექსის მოქმედება უნივერსალურია (არეგულირებს დაწესებულების ყველა წევრის, მათ შორის რექტორის ქცევას).

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მექანიზმები პლაგიატის აღმოჩენის და პრევენციისთვის. "პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმების" წესის შესაბამისი ნაწილი მოიცავს პლაგიატის განმარტებას, ინფორმაციას ციტირების და მითითების შესახებ, დარღვევის გამოვლენის და მასზე რეაგირების ღონისძიებებს და პასუხისმგებლობას, რომლებიც გამოიყენება პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში. პროცედურები ვრცელდება, როგორც პერსონალზე, ასევე სტუდენტებზე. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამა „სთრაიქ პლაგიატი“, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული. აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ ინფორმაცია პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის შესახებ და მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში, რომელიც მიზნად ისახავდა პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ატარებს ტრენინგებს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ ისეთ თემებზე, როგორიც არის "რა არის ხელოვნური ინტელექტი", "როგორ გამოვიყენოთ ხელოვნური ინტელექტი სწავლებაში" და "როგორ დავიცვათ თავი ხელოვნური ინტელექტის რისკებისგან". თუმცა, უმნიშვნელოვანესია ხელოვნური ინტელექტისგან მომდინარე პოტენციური საფრთხეებისგან დაცვის მექანიზმების შემუშავება.

თვითშეფასების ანგარიშმა და ხელმძღვანელმა პერსონალმა, ასევე აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა უნივერსიტეტის ვალდებულება აკადემიური თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

თვითშეფასების ანგარიშმა და აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ პერსონალი იცნობს და იზიარებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს, ინფორმაცია აკადემიური თავისუფლების შესახებ კარგად არის გავრცელებული უნივერსიტეტის ფარგლებში და აკადემიური პროცესი დაფუძნებულია აღნიშნულ პრინციპებზე. თუმცა, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ იზრუნოს სტუდენტებში აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე.
მტკიცებულელები/ინდიკატორები ქუთაისის უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობა; პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურა და მექანიზმები; პლაგიატის გამოვლენის ელექტრონული პროგრამა https://strikeplagiarism.com/; ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები; გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: 2.3.1. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ სტუდენტების ცნობიერების ამაღლება. ასევე, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა სტუდენტური ომბუდსმენის პოზიციის შექმნა, იმისათვის რომ ხელი შეეწყოს სტუდენტების კონსულტაციას, დახმარების გაწევას, სტუდენტების ინტერესების, უფლებების და თავისუფლებების დაცვას და ა.შ. 2.3.2. სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს მექანიზმები ხელოვნური ინტელექტით გამოწვეული პოტენციური საფრთხეების არიდების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ -ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ქუთაისის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განხორციელება და განვითარება რეგულირდება რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურების“ პოლიტიკის დოკუმენტით. ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს და დამსაქმებელს, შეუძლია მოითხოვონ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელება. ცვლილების განხორციელების გათვალისწინების საფუძველს წარმოადგენს: მნიშვნელოვანი

ცვლილებები დარგში; პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები; საკანონმდებლო ცვლილებები. პროგრამაში ცვლილების ან შესწორების განხორციელების მოთხოვნის ან წინადადების შემდეგ, პროგრამის დამტკიცების და აუცილებელი ცვლილებების განხორციელების შესახებ დაწესებულებას შემუშავებული აქვს მკაფიო პროცედურა. განვითარება ინიცირებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელიც აფასებს სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ წარმოდგენილ ბაზრის კვლევის ანგარიშს. მომზადების შემდეგ, დეკანი წარუდგენს დასკვნას დასამტკიცებლად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ფაკულტეტის საბჭოს და მმართველ საბჭოს, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტს უგზავნიან ოფიციალურ მოთხოვნას ცვლილების დაგეგმვის და განხორციელების თაობაზე. მოგვიანებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეაფასებს პროგრამას დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად და საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტისთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

რექტორის 2020 წლის 18 სექტემბრის №25 ბრძანებით დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტის „ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის დებულების“ შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ დაესწრონ საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომებს და მონაწილეობა მიიღონ განხილვებში. სტუდენტების მოსაზრებები ასევე გათვალისწინებულია კმაყოფილების კვლევის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული აკადემიური მოსწრების შეფასების საფუძველზე.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას, შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ასევე 2018 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ავტორიზაციის წინა პროცესის დროს გაცემული რეკომენდაციები. რექტორის 2020 წელს დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების განხორციელების და გაუქმების პროცედურების“ პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების შემდეგ, ცვლილებები განხორციელდა 6 საგანმანათლებლო პროგრამაში. აღნიშნული პროგრამები წარდგენილი იყო სააკრედიტაციოდ და ყველა მათგანს მიენიჭა უპირობო აკრედიტაცია. აღნიშნული ადასტურებს პოლიტიკის დოკუმენტის ეფექტურობას ეროვნული მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების თვალსაზრისით.

პოლიტიკის დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების, დამტკიცების, ცვლილებების განხორციელების და გაუქმების პროცედურების“ მე-5 მუხლის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია დაიცვას სტუდენტების ინტერესები და უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის სტუდენტებისთვის განათლების მიღების შესაძლებლობა და გაითვალისწინოს მოდიფიცირებული პროგრამით მიღებული კრედიტები. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მასში ჩარიცხული სტუდენტებისთვის ან უზრუნველყოს აუცილებელი ღონისძიებები სტუდენტების შესაბამის პროგრამაზე გადაყვანის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების განხორციელების და გაუქმების პროცედურები (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის N14 ბრძანებით);
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის N15 ბრძანებით);
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის დებულება (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 18 სექტემბრის N25 ბრძანებით);
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები;
- საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის შეხვედრების ოქმები;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები;
- საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო პროგრამის, დიმპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამის, ეკონომიკის, ტურიზმისა და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ სააკრედიტაციო ანგარიშები;

- ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგებზე რეაგირების ანგარიშები.

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

არ ეხება

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგი მნიშვნელოვანი დოკუმენტებით:

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“ დამტკიცებული 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“ დამტკიცებული 2011 წლის 4 მაისის N65 ბრძანებით;
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტები და საერთაშორისო დოკუმენტები / კონვენციები;
- უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტები და ინსტრუქციები;

კრედიტების სისტემა ECTS განსაზღვრავს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო საათების რაოდენობას და მოცულობას დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამა განსაზღვრავს საათების განაწილებას პრაქტიკულ და თეორიულ სწავლებას და დამოუკიდებელ და საკონტაქტო სწავლებას შორის. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ საათობრივი დატვირთვა ხელს უწყობს უფრო პრაქტიკულ სწავლებას სტუდენტების და დამსაქმებლების რეკომენდაციების შესაბამისად. მაგალითად, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში თეორიული და პრაქტიკული ნაწილის შეფარდებაა 1/2,7, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში 1/1,5.

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დაწესებულებამ ნათლად შეიმუშავა დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია: მიღების წინაპირობა, სწავლის შედეგები, სწავლება - სწავლის მეთოდები და აქტივობები, პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა, შეფასების სისტემა, დასაქმების სფერო და უწყვეტი განათლების გაგრძელების შესაძლებლობები და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსებისთვის. აღნიშნული დოკუმენტი იძლევა პროგრამის ყოვლისმომცველი მიმოხილვის შესაძლებლობას. სწავლის შედეგები განსაზღვრულია მიღწევის სამი დონის მიხედვით: ცოდნა, უნარი და პასუხისმგებლობა.

პარალელურად, დაწესებულებამ სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან, პროგრამის კომპონენტებთან, სწავლების მეთოდებთან, შეფასების მეთოდებთან თანხვედრის უზრუნველყოფის

მიზნით შეიმუშავა მრავალჯერადი რუკების დანართები. (დანართები 1,2,3,4)

პროგრამის თითოეული კომპონენტი შედგენილია შეფასების კრიტერიუმების, სამუშაო საათების და აკადემიური პერსონალის განაწილების შესაბამისად. გამოყენებული სწავლების მეთოდები (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის შესწავლა, სიმულაცია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსია, პაციენტის საწოლთან სწავლება და ა.შ.) არის თანამედროვე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ისინი ადეკვატურად მოდიან თანხვედრაში ასახულ სწავლის შედეგებთან. უფრო დეტალურად რომ ითქვას, თითოეული სემესტრის და თითოეული მოდულის სილაბუსები მოიცავს კონკრეტულ კრედიტებს, სწავლის შედეგებს, წინაპირობებს, სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებს და ლიტერატურის მითითებებს. თითოეულ მოდულში გამოიყენება ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც აერთიანებს ძირითად მეცნიერებებს მათ კლინიკურ შემადგენელ ნაწილებთან. აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში შეუფერხებელ ჩართულობას და მიღებას.

ქუთაისის უნივერსიტეტმა, 2020 წელს ჩამოაყალიბა სწავლების ინოვაციური მეთოდების ცენტრი, რომელიც, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით უზრუნველყოფს პერსონალის სათანადო ცოდნით და უნარებით აღჭურვას. მას შემდეგ, ჯამში 167 აკადემიურმა პერსონალმა (მათ შორის მოწვეულმა ლექტორებმა) მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ვორქშოფებსა და სასწავლო სემინარებში, მათი გამოცდილების გაზრდის მიზნით ინოვაციური სწავლების და შეფასების მეთოდების მიწოდებაში. ტრენერებს გავლილი აქვთ სერთიფიცირება საერთაშორისოდ აღიარებულ სამედიცინო საგანმანათლებლო ცენტრებში. ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად, ტრენინგი სავალდებულოა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. დაწესებულების აკადემიურ პერსონალთან განხორციელებული გასაუბრების დროს მათი მხრიდან აღინიშნა, რომ მათ აქვთ უნივერსიტეტის და სწავლების ინოვაციური მეთოდების სასწავლო ცენტრის მხარდაჭერა სწავლების პროცესში და ყველამ გამოავლინა ქუთაისის უნივერსიტეტში მუშაობის დიდი ენთუზიაზმი. მათ ასევე გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო ცენტრის მზადყოფნით, ჩაატარონ ტრენინგები მოთხოვნის შემთხვევაში.

დაწესებულებამ შეიმუშავა ონლაინ რესურსები, მომავალი სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ინფორმაცია თავისუფლად და მარტივად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ =-გვერდის მეშვეობით, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თითოეული პროგრამისთვის დეტალურად არის წარმოდგენილი შემდეგი ელემენტები: დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები, სწავლება -სწავლის მეთოდები და აქტივობები, პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა, შეფასების სისტემა, დასაქმების სფერო და უწყვეტი განათლების შესაძლებლობები და პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები. განყოფილება შეიცავს პროგრამის სიახლეს და რეგულარულად ხდება მისი განახლება. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ასევე მოცემულია სემესტრების მიხედვით სასწავლო გეგმის, მოდულების და მათი განაწილების ყოვლისმომცველი მიმოხილვა.

ქუთაისის უნივერსიტეტის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს აძლევს საშუალებას აირჩიონ არჩევითი კომპონენტები. ყოველი სემესტრის დასაწყისში სტუდენტებს შეუძლიათ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით აირჩიონ არჩევითი საგნები. მაგალითად, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამაში, მაშინ როცა 320 კრედიტი მიმართულია სავალდებულო კომპონენტებზე, დამატებით 10 კრედიტი ენიჭება არჩევით კომპონენტებს.

ქუთაისის უნივერსიტეტი ატარებს რეგულარულ გამოკითხვებს უნივერსიტეტის სტუდენტების და კურსდამთავრებულების სერვის ცენტრის მეშვეობით, კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების და კვალიფიკაციის შესწავლის მიზნით. კურსდამთავრებულებს მოუწოდებენ დააფიქსირონ უკუკავშირი სწავლის გამოცდილების, მათ მიერ შეძენილი უნარების და ცოდნის შესახებ, თუ როგორ აისახება აღნიშნული დასაქმების ბაზარზე და შეუძლიათ უნივერსიტეტს შესთავაზონ გაუმჯობესების გზები. ქუთაისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი 2019 წლიდან 2023 წლამდე მკვეთრად გაიზარდა 58%-დან 86%-მდე.

სტუდენტების გამოკითხვებმა გამოავლინა კმაყოფილება საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსით და სტრუქტურით, მათ შორის სწავლების და შეფასების ახალი მეთოდებით. აღნიშნული ასევე დადასტურდა გასაუბრების დროს, სტუდენტებმა გამოხატეს დიდი ენთუზიაზმი ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე. მათ დაადასტურეს დაწესებულების სრული მხარდაჭერა და მზადყოფნა, მოწყვლადი სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შეთავაზებით და აღნიშნეს ლექტორების და

ადმინისტრაციული პერსონალის ხელმისაწვდომობა. თუმცა, როგორც ჩანს, არსებობს გარკვეული გამოწვევები ენობრივ ბარიერთან დაკავშირებით, განსაკუთრებით დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში, სადაც სტუდენტებს უწევთ მჭიდრო კონტაქტის დამყარება ქართველ პაციენტებთან, მიუხედავად დაწესებულებების მცდელობისა, ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად გაზარდოს ენის კურსების კრედიტები.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები;
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის N15 ბრძანებით);
- საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზი, შედეგების გამოყენების ანგარიშები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულება (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს N382 ბრძანებით);
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სერვის ცენტრის მიერ დასაქმებასთან დაკავშირებით განხორციელებული კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, სასწავლო ცენტრის კვლევის შედეგები სწავლების ინოვაციური მეთოდების შესახებ პერსონალისთვის სასურველი ტრენინგების თემაზე;
- სასწავლო ცენტრის მიერ სწავლების ინოვაციურ მეთოდებზე ჩატარებული ტრენინგების დამადასტურებელი მასალა (გაცემული სერთიფიკატები, ტრენინგების ჩატარების სხვა მასალები).

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

3.2.1. სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომები უცხოელი სტუდენტების მიერ ქართული ენის შესწავლის გაუმჯობესების მიზნით, როგორიც არის კლასგარეშე აქტივობები, იმისათვის რომ გაუმჯობესოს მათი ინტეგრაცია და სწავლის გამოცდილება, განსაკუთრებით ქართულ სამედიცინო დაწესებულებებში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის უნივერსიტეტის შეფასების სისტემა რეგულირდება „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს N382 ბრძანებით). აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, რომელიც დაკავშირებულია პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან, რომელიც მოითხოვს კრედიტების მინიჭებას ერთზე მეტი შეფასების საფუძველზე. ამრიგად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტში შეფასება ეფუძნება შუალედურ და საბოლოო შეფასებებს, საბოლოო შეფასება, რომელიც არ აღემატება მთლიანი შეფასების 40%-ს.

როგორც შუალედური, ისე საბოლოო შეფასების კომპონენტები, სტრუქტურა და მეთოდები განსაზღვრულია განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. განხორციელდა ყოვლისმომცველი სამუშაო შეფასების მეთოდების თითოეული მოდულის, თითოეული კურსის სწავლის შედეგებთან თანხვედრაში მოყვანის მიზნით. დაწესებულება იყენებს შეფასების მრავალ მეთოდს, რომელიც არის ყოვლისმომცველი, თანამედროვე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა, პორტფოლიო, ქვიზი, ზეპირი გამოკითხვები, კლინიკური მოვალეობები... და ა.შ.).

როგორც ადრე აღინიშნა დასკვნაში, შპს ქუთაისის უნივერსიტეტი ახორციელებს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას ქუთაისში და გეგმავს მსგავსი პროგრამის განხორციელებას თბილისში. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები იდენტურია ორივე ადგილზე. აღსანიშნავია, რომ სიმულაციური ცენტრი ორივე ადგილზე არის სათანადოდ აღჭურვილი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, მანეკენებით და საკმარისი სამედიცინო აღჭურვილობით, გათვალისწინებულია 8 სიმულაციური ოთახი, რომელშიც შესაძლებელია 12 სიმულაციური სადგურის მოწყობა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის განხორციელების მიზნით, რაც ასევე ხელს შეუწყობს პრაქტიკულ სასწავლო აქტივობებს. ასეთი მოწყობა ხელს უწყობს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის შესაბამისობას დადგენილ ეროვნულ მოთხოვნებთან.

გამსვლელი ბარიერი მკაფიოდ არის განსაზღვრული შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების ჯამით და დასკვნით გამოცდაზე დადგენილი მინიმალური ზღვარი, რომელიც უნდა იყოს 51 ქულა ან მეტი. ეს უკანასკნელი შესაძლოა შეესაბამებოდეს ეკონომიკას და სამართალს. თუმცა, შესაძლებელია, რომ უნივერსიტეტმა იმსჯელოს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისთვის განსაზღვრული ბარიერის შესაბამისობის შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად ახორციელებს შეფასების მეთოდების შეფასებას, იმისათვის რომ უზრუნველყოს სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა უნივერსიტეტში მოქმედი პოლიტიკის დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის N15 ბრძანებით). აღნიშნული შეფასება იყენებს პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს.

პირდაპირ მეთოდს წარმოადგენს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასება, პროცესში ჩართული თითოეული სტუდენტის თითოეული სასწავლო კომპონენტის ქულების განაწილების ანალიზის მიხედვით. პირდაპირი შეფასების კიდევ ერთი მეთოდს წარმოადგენს სტუდენტების მიღწევების შეფასება სწავლის შედეგების რუქის ინსტრუმენტის გამოყენებით (დანართი N-4). შეფასების მეთოდებში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია ზემოაღნიშნული შეფასების შედეგების საფუძველზე. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ნახა აღნიშნული ცვლილებების კონკრეტული მაგალითები.

რაც შეეხება არაპირდაპირი მეთოდებით შეფასებას, დაწესებულება იყენებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევას. შედეგები ეცნობება საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, რომლებიც შესაბამისად ახდენენ ცვლილებების ინიცირებას.

გარდა ამისა, სწავლების ინოვაციური მეთოდების სასწავლო ცენტრი აკადემიური პერსონალისთვის ატარებს სასწავლო სესიებს, რომელიც უზრუნველყოფს სახელმძღვანელო მითითებებს შეფასების თანამედროვე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდების შემუშავების პროცესში. ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებების შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული თვალსაზრისით პერსონალი გრძნობს მხარდაჭერას და ფლობს ინფორმაციას თანამედროვე შეფასების მეთოდების შესახებ.

და ბოლოს, სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას საბოლოო გამოცდის შედეგების გასაჩივრების უფლების შესახებ, თუმცა, როგორც ჩანს, ისინი არ იყენებენ შუალედური გამოცდის შედეგების გასაჩივრების უფლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულება (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს N382 ბრძანებით);
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის N24 ბრძანებით);
- დოქტორანტურის დებულება (დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2021 წლის 2 ივლისის N4 დადგენილებით);

- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის N15 ბრძანებით);
- საგამოცდო პროცესის განხორციელების წესი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს N362 ბრძანებით);
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები;
- საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზი, შედეგების გამოყენების ანგარიშები;
- სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები;
- საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში გადაწერის და გასაჩივრების შემთხვევების შესახებ;
- სასწავლო ცენტრის კვლევის შედეგები სწავლების ინოვაციური მეთოდების შესახებ პერსონალისთვის სასურველი ტრენინგების თემაზე;
- სასწავლო ცენტრის მიერ სწავლების ინოვაციურ მეთოდებზე ჩატარებული ტრენინგების დამადასტურებელი მასალა (გაცემული სერთიფიკატები, ტრენინგების ჩატარების სხვა მასალები).

რეკომენდაციები:

რჩევები:

სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს მედიცინის სფეროში 51%-ით განსაზღვრული გამსვლელი ბარიერის გაზრდა. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ დიპლომირებული მედიკოსის სწავლის შედეგების მიღწევა ასახავდეს იმ მოსახლეობის ჯანმრთელობის სასურველი შედეგებს, რომელსაც იგი მოემსახურება მომავალში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო
და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტმა მიიღო და განახორციელა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 12 აგვისტოს №1 რეზოლუციით. დოკუმენტი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://www.unik.edu.ge/LegalActs . ადგილზე ვიზიტის

დროს გაირკვა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, მოწვეული, კვლევითი, ადმინისტრაციული და მხარდამჭერი პერსონალი) ინფორმირებული იყო ამ პოლიტიკისა და რეგულაციების შესახებ პერსონალის მართვასთან დაკავშირებით.

წესი და პროცედურები განსაზღვრულია და ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებით, კერძოდ: პერსონალის შერჩევის წესები; ახალი პერსონალისთვის ადაპტაციის სახელმძღვანელო; ქუთაისის უნივერსიტეტის წესდება; ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები და კვალიფიკაციის მოთხოვნები; ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციის შეფასების სისტემა; აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესები; აკადემიური პერსონალის აფილაციის წესები და პირობები; ეთიკის კოდექსი და დისციპლინარული პასუხისმგებლობა.

აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსის საშუალებით და მოიცავს ორ ეტაპს: განაცხადების შერჩევას და პირველი ეტაპზე შერჩეული კანდიდატის მიერ საჩვენებელი ლექციის ჩატარებას და კანდიდატის შეფასებას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. თუ ორ ან მეტ მონაწილეს ერთი და იგივე ქულა აქვს მეორე ეტაპზე, კომისია ნიშნავს დამატებით ინტერვიუს აპლიკანტებთან. ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა ხდება შემდეგი პრინციპებით: შიდა როტაცია, რეკომენდაცია და ღია კონკურსი. კანდიდატი შეფასდება შერჩევის პროცედურის მიხედვით, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით კომიტეტთან ინტერვიუს დროს.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილაციის წესებისა და პირობების მიხედვით, „...აფილაცია ნიშნავს წერილობით შეთანხმებას უნივერსიტეტსა და აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის, რომლის მიხედვითაც აკადემიური თანამდებობის მქონე თითოეული პირი განსაზღვრავს თავის აფილაციას მხოლოდ ქუთაისის უნივერსიტეტთან, მონაწილეობს საზოგადოებრივი განვითარების და ცოდნის გაზიარების პროცესებში მისი სახელით“. აფილაციას აქვს შემდეგი უპირატესობები: უნივერსიტეტი გამოყოფს კონკრეტულ თანხას, თუ აფილირებული პერსონალის მიერ შესრულდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები. მინიმალური მოთხოვნა გულისხმობს წლიური შეფასების შედეგად დაგროვებული ქულების კონკრეტულ რაოდენობას, რაც მიუთითებს აკადემიური პერსონალის აქტიურ სამეცნიერო ან კვლევით პრაქტიკაზე.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში განათლების, კვლევისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის მმართველი საბჭო შედგება პრორექტორებისგან, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისგან, სტუდენტებისგან, კურსდამთავრებულებისა და აფილირებული აკადემიური პერსონალისგან. ფაკულტეტის საბჭო მოიცავს ფაკულტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს სასწავლო პროცესის მენეჯმენტს და ფაკულტეტის სტრატეგიულ განვითარებას.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი დგამს ნაბიჯებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, კერძოდ, შექმნილია ინოვაციური სწავლების ტრენინგ ცენტრი, რომელიც სისტემატურად სთავაზობს სხვადასხვა ტრენინგ მოდულებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი სისტემატურად აფასებს პერსონალს და აანალიზებს შეფასების შედეგებს. შეფასების შემდეგ, თუ საჭიროა სხვადასხვა სერვისების და მხარდამჭერი ტრენინგების, გაცვლითი შესაძლებლობების შეთავაზება ხდება სტუდენტებისთვის. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეიტინგების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ვებგვერდზე. https://www.unik.edu.ge/FacultyOfSocialSciences/183; https://unik.edu.ge/FacultyOfMedicine/184,ადმინისტრაციის ინფორმაციით, ეს ზრდის პერსონალის მოტივაციას, რომ გააუმჯობესონ შეფასების შედეგები. უნივერსიტეტი აგრეთვე რეგულარულად ატარებს დასაქმებულთა გამოკითხვას, მათი კმაყოფილების დონის შეფასების მიზნით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესები, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციების შეფასების სისტემა, ჩამოყალიბებულია და პრაქტიკაში განხორციელებულია. იგი ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია სამეცნიერო პერსონალის შეფასების მეთოდი. აღნიშნული წესი დამატებით მოითხოვა ექსპერტმა ვიზიტის დროს, თუმცა დამატებით არ იქნა მიწოდებული. **ამიტომ, რეკომენდებულია სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი დაემატოს პერსონალის შეფასების წესებს/რეგულაციებს.**

საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს 102 აკადემიური პერსონალი (მათ შორის 35 აფილირებული პერსონალი), ასევე 12 კვლევითი პერსონალი, 253 მოწვეული პერსონალი და 66 ადმინისტრაციული და მხარდამჭერი პერსონალი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის, უნივერსიტეტში დასაქმებულია 3 უცხოელი პერსონალი. **რეკომენდებულია აფილირებული აკადემიური პერსონალის წილის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის რეიტინგის და სამეცნიერო იმიჯის ზრდას, ასევე საგანმანათლებლო პროცესისა და კვლევითი საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.**

სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, რომელსაც დაწესებულება წარუდგენს, 102 აკადემიური პერსონალიდან 62 ქალი პერსონალია, ხოლო 5 პერსონალი 65 წლის და მეტი ასაკისაა. დაწესებულებას ჰყავს 24 აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი 40 წლამდე ასაკის.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული თვითშეფასების ანგარიში ასახავს პერსონალის რეალურ რაოდენობას და განსაზღვრავს სხვადასხვა ობიექტურ ნიშნულებს 2030 წლისთვის უნივერსიტეტის პერსონალთან მიმართებით. მაგალითად, აფილირებული პერსონალის რაოდენობის მიმართ სტუდენტთა რაოდენობის პროპორციას ახლა წარმოადგენს 35/254 (1/7.3). 2030 წლამდე მსგავსმა ინდიკატორმა/მიზანმა უნდა მიაღწიოს 1/55-ს. მეტიც, მედიცინის ფაკულტეტზე სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ფაკულტეტის სახელი მედიცინის ფაკულტეტი	არსებული ინდიკატორი	სამიზნე ინდიკატორი	სამიზნე მიღწევის სავარაუდო თარიღი
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის სტუდენტთა რაოდენობასთან თანაფარდობა	234/103 (2.3/1)	1/6	2030
აფილირებული აკადემიური პერსონალის არსებული თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან	12/103 (1/8.6)	1/100	2030

ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით, ზოგიერთი სამიზნე ნიშნული (მაგალითად, აფილირებული პერსონალის რაოდენობის მიმართ სტუდენტების რაოდენობის პროპორცია, მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის მიმართ სტუდენტების რაოდენობის პროპორცია) არ აჩვენებს გაუმჯობესების ტენდენციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა https://www.unik.edu.ge/LegalActs;
- პერსონალის შერჩევის წესი;
- ახალი პერსონალის ადაპტაციის სახელმძღვანელო
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის კანონქვემდებარე აქტები
- ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოს აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციის შეფასების სისტემა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესები
- აკადემიური პერსონალის აფილირების პირობები და წესები
- კვლევის დაფინანსების წესი

- ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობა;
- კმაყოფილების კვლევის ჩატარების სახელმძღვანელო;
- ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების ანგარიშები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები და შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- სამეცნიერო და კვლევითი აქტივობების წლიური ანგარიშების სტატისტიკური ანალიზი;
- პერსონალის სტატიკური მონაცემები;
- პერსონალთან კონტრაქტის ნიმუშები (მოიცავს კონტრაქტებს აფილირებულ და კვლევით პერსონალთან)
- რეკლამირებულ სამუშაო ვაკანსიებზე განცხადებების რაოდენობა;
- უსდ-ს მიერ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები
- სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები.
- პერსონალის პირადი საქმეები;
- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- თვითშეფასების ანგარიში შესაბამისი დანართებით.

რეკომენდაციები:

4.1.1. რეკომენდებულია პერსონალის შეფასების წესებს/რეგულაციებს დაემატოს სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი.

4.1.2რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის წილი, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის რეიტინგის და სამეცნიერო იმიჯის გაზრდას, სასწავლო პროცესის და კვლევითი საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.

რჩევები:

არ ეხება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

უსდ - ის აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ - ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო - კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა მიიღო და განახორციელა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა, რომელიც ყოველ სემესტრში ახლდება. სქემა მოიცავს სწავლების, კვლევისა და სხვა სამუშაო დატვირთვებს, პერსონალისთვის მინიჭებული ფუნქციებისა და მოვალეობების მიხედვით. სამუშაო დატვირთვის სქემის ინდიკატორები რეგულირდება შემდეგი რეგულაციების დოკუმენტებით: აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; აკადემიური პერსონალის აფილირების წესები და პირობები. უნივერსიტეტში მოქმედი აფილირების წესები და პირობები განსაზღვრავს სხვა უნივერსიტეტში აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვას, რაც შემოიფარგლება 10 საათით.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რეგულაციების მიხედვით, პროფესორის მაქსიმალური სასწავლო დატვირთვა სემესტრში არის 315 საათი (21 საათი კვირაში); ასოცირებული პროფესორისთვის – 380

საათი (24 საათი კვირაში), ასისტენტ-პროფესორისთვის – 405 საათი (27 საათი კვირაში), ასისტენტისთვის – 405 საათი (27 საათი კვირაში). ფაქტობრივი მდგომარეობის და პერსონალის საათობრივი დატვირთვების შეზღუდვებთან შესაბამისობის შესამოწმებლად, ქუთაისის უნივერსიტეტი ყოველ სემესტრში ამზადებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის ცხრილებს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო პროგრამების ძირითად მიმართულებაში სავალდებულო კურსების ფარგლებში საათების მინიმუმ 51%-ს ასწავლის აკადემიური პერსონალი. ეს მოთხოვნა საკმარისად ითვლება საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად. **თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს არ იქნა წარმოდგენილი არგუმენტები, თუ რომელი საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა გამოიყენეს მსგავსი ინდიკატორის დასადგენად პროგრამის პერსონალის გათვლის მეთოდოლოგიაში.** ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში არ არის აღნიშნული პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების წილი/რაოდენობა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით. ამგვარად, თეორიულად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ასისტენტების მიერ, რომელთაც შესაძლოა არ ჰქონდეთ დოქტორის აკადემიური ხარისხი (საქართველოს უმაღლესი განათლების კანონის თანახმად, ასისტენტები ასევე ითვლებიან აკადემიურ პერსონალად და მათთვის დოქტორის ხარისხის ქონა სავალდებულო არ არის).

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას, უნივერსიტეტი ასევე ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა; ჯგუფში ლექციისა და პრაქტიკული სწავლის საათების განმავლობაში დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა; სემესტრის განმავლობაში ძირითადი მიმართულების სავალდებულო კურსებში ჩასატარებელი ლექციებისა და პრაქტიკული კლასების რაოდენობა კვირაში; აკადემიური პერსონალის მიერ დასაშვები მაქსიმალური სამუშაო საათების რაოდენობა; აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულები.

არცერთი პროგრამა არ არის ნებადართული მხოლოდ აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელდეს. ამიტომ, პროგრამის განხორციელებაში აუცილებელია მოწვეულ სპეციალისტთა ჩართვა. უნივერსიტეტმა წარმოადგინა პერსონალის სია განათლების პროგრამებით, რომელიც აჩვენებს, რომ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება პროფესორების/ასოცირებული პროფესორების/ასისტენტ-პროფესორების მონაწილეობით და არა მხოლოდ ასისტენტების და მოწვეული პერსონალის მიერ (როგორც თეორიულად შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით).

რეკომენდებულია პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება, რათა თითოეულ პროგრამაზე უზრუნველყოფილ იქნას პროფესორების, ასოცირებული პროფესორების და ასისტენტ-პროფესორების შესაბამისი რაოდენობა. უნივერსიტეტმა მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს პერსონალის სამიზნე ნიშნულების გასაუმჯობესებლად, იმისათვის რომ ეფექტურად განახორციელოს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის/ სტუდენტების თანაფარდობის დაგეგმვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესისა და პირობების შესახებ
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა 2023-2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრისთვის.

- აკადემიური პერსონალის რაოდენობის დაანგარიშება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2023-2024 აკადემიური წლისთვის;
- საგანმანათლებლო პროგრამების პერსონალის სია
- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- თვითშეფასება შესაბამისი შესაბამისი დანართებით

რეკომენდაციები:

4.2.1. **რეკომენდებულია პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება, რათა თითოეულ პროგრამაზე უზრუნველყოფილ იქნას პროფესორების, ასოცირებული პროფესორების და ასისტენტ-პროფესორების შესაბამისი რაოდენობა.** უნივერსიტეტმა მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს პერსონალის სამიზნე ნიშნულების გასაუმჯობესებლად, იმისათვის რომ ეფექტურად განახორციელოს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის/ სტუდენტების თანაფარდობის დაგეგმვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა

რჩევები:

არ ეხება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ასევე უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუდენტების სტატუსის მიღების და შეცვლის წესები, განათლების აღიარება და სტუდენტების უფლებები რეგულირდება შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ და განსაზღვრულია სამართლებრივი აქტებით, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. თვითშეფასების ანგარიში და ადგილზე ინტერვიუს შედეგები აჩვენებს, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტი ეფექტურად უზრუნველყოფს სამართლებრივი და ეფექტური პროცესების განხორციელებას სტუდენტთა უფლებების დაცვისა და ერთიანი სწავლის პროცესის უზრუნველსაყოფად. ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ერთსაფეხურიანი პროგრამების სტუდენტური სტატუსის მიღება, დაკომპლექტება და გაწყვეტა განსაზღვრულია ქუთაისის უნივერსიტეტის „განათლების პროცესის რეგულირების წესში“ და „დოქტორანტურის რეგულაციებში“ და შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტური მობილობის შესაძლებლობას კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ და შიდა მობილობის შესაძლებლობასაც ორჯერ იმავე

პერიოდში. გარდა ამისა, ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს უფლებამოსილება გამოაცხადოს შიდა მობილობა „განათლების პროცესის რეგულირების წესის“ შესაბამისად იმ შემთხვევებში, როდესაც განათლების პროგრამის აკრედიტაცია უარყოფილია ან გაუქმებულია, ან როდესაც უნივერსიტეტი ამ პროგრამას წყვეტს. შიდა მობილობის წესის მიხედვით, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა შეავსონ ვაკანტური ადგილები სწავლების მეორე სემესტრიდან. შიდა მობილობა რეგულირდება საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრაციის სამსახურის მიერ, შესაბამის ფაკულტეტთან თანამშრომლობით.

სასწავლო პროცესის რეგულირება ასევე მოიცავს შეწონვადი საშუალო ქულის კალკულაციას, სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების საფუძველზე. შეწონვადი საშუალო ქულა ითვლება სტუდენტის მიერ მიღებული შეფასები საშუალოთი თითოეულ აკადემიურ კურსში, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში (სემესტრი, აკადემიური წელი). GPA გამოითვლება თითოეული სემესტრისა და აკადემიური წლის ბოლოს, შესაბამისი პერიოდის განმავლობაში მიღებული შეფასებების საფუძველზე. GPA ანგარიშდება ოთხქულიანი სისტემით, სადაც 1 ქულა არის 0,04 ის ეკვივალენტი, 100 ქულიანი სისტემაში. სტუდენტის GPA გამოიყენება სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და პროგრესის შესაფასებლად.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტს ქონდეთ უფლება გაასაჩივრონ შუალედური, საბოლოო შეფასებები, საბაკალავრო და სამაგისტრო თეზისების პროექტები. უნივერსიტეტი ასევე პასუხისმგებელია, რომ აცნობოს ყველა სტუდენტს მათი უფლებების და გასაჩივრების შესაძლებლობების შესახებ. თუმცა, MD სტუდენტებთან შეხვედრისას გამოჩნდა, რომ სტუდენტებს მხოლოდ საბოლოო გამოცდების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია და მათ არ იცოდნენ შუალედური გამოცდის შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობის თაობაზე. შედეგად, უნივერსიტეტმა ვერ უზრუნველყო სტუდენტებისთვის შუალედური გამოცდების შედეგების გასაჩივრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. უნივერსიტეტი სთავაზობს შესაძლებლობებს უცხო ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი ან ეკვივალენტური განათლება მიიღეს საზღვარგარეთ. ეს შესაძლებლობები ეხება ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც სწავლობდნენ ან სწავლობენ და მიიღეს კრედიტები ან კვალიფიკაცია უცხო ქვეყნის მიერ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. უნივერსიტეტი პასუხისმგებელია შეამოწმოს სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნა გამოცდის საშუალებით. საგამოცდო პროცესი მოიცავს კომპეტენციის განსაზღვრას და ამ გამოცდის ვიდეოჩანაწერი უნდა იყოს ხელმისაწვდომი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის. სტუდენტთა ინგლისური ენის კომპეტენციის შესაფასებლად, უნივერსიტეტი ატარებს შიდა გამოცდებს. სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება არის სავალდებულო მოთხოვნა. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდისთვის საკითხები და შეფასების კრიტერიუმები თავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე - (www.unik.edu.ge) - მინიმუმ სამი თვით ადრე გამოცდამდე. ინგლისური ენის შიდა გამოცდაზე სავალდებულოა ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება B2 დონეზე. ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრის პროცესი მიმდინარეობს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის წესის მიხედვით. სხვაგვარად, B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნა შესაძლებელია დადასტურდეს ვალიდური სერტიფიკატით.

საერთო ჯამში, შპს ქუთაისის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებების დაცვას, რათა მიიღონ ხარისხიანი განათლება და ჰქონდეთ თანაბარი წვდომა უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ ყველა აუცილებელ მასალაზე, ტექნიკურ, ბიბლიოთეკურ, საინფორმაციო და სხვა რესურსებზე. დამატებით, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი შესაბამისი დანართებით
- ქუთაისის უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტები
- გასაუბრებები ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

5.1.1. რეკომენდებულია და აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, ყველა სტუდენტის ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მათი უფლებების შესახებ.

რჩევები:

არ ეხება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.
- უსდ-ში მოქმედებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თვითშეფასების ანგარიშის და ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ყველა საჭირო სერვისის სათანადო მიწოდებას სტუდენტებისთვის. სტუდენტები უნივერსიტეტისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და დახმარებას. დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და საგანმანათლებლო პროცესების მენეჯერები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას და ხელმძღვანელობას ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მათ საგანმანათლებლო პროცესს ეხება. უნივერსიტეტი სტუდენტებს რთავს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში და ეხმარება მათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნაში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა იცოდნენ შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციები, მათი უფლებები ნებისმიერ ცვლილებაზე და საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზებას უწევს საკონსულტაციო შეხვედრებს. კურსის მენეჯერები სტუდენტებს აწვდიან სიახლეებს კურსთან დაკავშირებულ საკითხებზე როგორც ელფოსტით, ისე ტექსტური შეტყობინებებით. უნივერსიტეტში მოქმედებს „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განვითარება და მეთოდოლოგია“, რომლის მთავარი მიზანია სტუდენტების ჩართვა სასწავლო გეგმის შემუშავებასა და თავისი პრეფერენციების წარდგენაში. სტუდენტებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ მათ გამოიყენეს ეს პროცედურა და პოზიტიურად აფასებენ შედეგებს. დოკუმენტის შესაბამისად, უნივერსიტეტი ითვალისწინებს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების საჭიროებებს და ცდილობს მხარი დაუჭიროს მათ ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მეთოდოლოგიის შესაბამისად, შესაძლებელია სასწავლო და შეფასების მეთოდების მორგება, ისევე როგორც საგამოცდო განრიგის შედგენა, სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანხმლები შეფასების საფუძველზე.

შპს ქუთაისი უნივერსიტეტს აქვს ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები ყველა სტუდენტისთვის. შპს ქუთაისის უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ ფინანსური სარგებლის მიღების წესი რეგულირდება "შპს ქუთაისის უნივერსიტეტში სტიპენდიის მიღების და ინდივიდუალური გადახდის გეგმის წესით" და "შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მოწყვლადი სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებით". ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ბევრი სტუდენტი იღებს ფინანსურ სარგებელს. დამატებით, ქუთაისის უნივერსიტეტი უქმნის სტუდენტებს პირობებს, რომ მათ მიიღონ სტიპენდია.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კარიერულ მხარდაჭერას და სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებას. უსდ ახორციელებს კარიერის მხარდაჭერის სერვისებს და აქვს კავშირი პოტენციურ დამსაქმებლებთან და პარტნიორებთან. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემები და ადგილზე გამართული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ სტუდენტები, რომლებიც

იყენებენ კარიერის მხარდაჭერის სერვისებს, წარმატებით საქმდებიან. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტის მომსახურების ცენტრი ატარებს კვლევას მათ აკადემიურ და პროფესიულ წარმატებაზე, აანალიზებს მიგნებებს და უზიარებს ინფორმაციას შესაბამის სამსახურებსა და ფაკულტეტებს. ცენტრის გამოკითხვის შედეგები ბოლო ხუთი წლის კურსდამთავრებულთა შორის შემდეგია: 183 კურსდამთავრებულიდან ცენტრმა გამოკითხა 108, რაც ჯამში 59%-ს წარმოადგენს. გამოკითხულთაგან 85 (79%) დასაქმებულია, 56 (68%) მუშაობს თავისი კვალიფიკაციის სფეროში, ხოლო 13 (12%) აგრძელებს სწავლას.

კურსდამთავრებულებთან გამართულმა ინტერვიუებმა ასევე დაადასტურა, რომ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მათთვის კვალიფიკაციასთან შესაბამისი სამუშაოების მოძიებაში. აღსანიშნავია, რომ ერთმა კურსდამთავრებულმა წარმატებით მოიპოვა სამუშაო ქუთაისის უნივერსიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები კვალიფიკაციის მიხედვით ასეთია: ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსები, ეკონომიკა, ეკონომიკა (დოქტორანტურა), ტურიზმი და ბუღალტერია და აუდიტი. სტუდენტებისთვის ტარდება ტრენინგები რეზიუმეს მომზადებისა და გასაუბრების უნარ-ჩვევების შესახებ.

2022 წლის თებერვლიდან ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი ორგანიზებას უწევს ონლაინ შეხვედრების სერიას სახელწოდებით „კარიერული კონსულტაციები“. სესიებზე სტუდენტებს მიეწოდება მნიშვნელოვანი ინფორმაცია ეფექტური რეზიუმეების და სამოტივაციო წერილების შექმნის, გასაუბრებისთვის მომზადების და სამუშაოს ძიების პროცესში გამოსავლების შესახებ, პრეზენტაციების, განხილვების და შემთხვევების შესწავლის გზით. 2022 წლის 17 ოქტომბერსა და 22 ივნისს, სტუდენტებს ასევე შეხვედრა ჰქონდათ კრედო ბანკის წარმომადგენლებთან, მათ შორის რეგიონალურ რეკრუტინგის ოფიცერთან, რათა გაცნობოდნენ ბანკში არსებულ კარიერული განვითარების შესაძლებლობებს. ბანკის წარმომადგენლებმა სტუდენტებს მიაწოდეს ინფორმაცია სტაჟირების პროგრამისა და იმერეთში ხელმისაწვდომი ვაკანსიების შესახებ. 2023 წლის მაისში, ზემოხსენებული ტიპის შეხვედრები გაიმართა GPI ჰოლდინგის მიერ.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა ასევე ორგანიზება გაუწია ტრენინგს სტუდენტებისთვის მეტი პრაქტიკული გამოცდილების მიღების მიზნით. ~2023 წლის 27 იანვარს ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამის სტუდენტებისთვის ტრეინინგი თემაზე „პირველი დახმარება - CPR“ ჩატარდა. ტრენინგის ფარგლებში სტუდენტები დაეუფლნენ ტრავმირებული პაციენტის პირველად მართვასა და კარდიოპულმონურ რეანიმაციას; აგრეთვე. მიღებული ცოდნით სტუდენტები შეძლებენ ტრავმის შედეგების შეფასებას და დაავადების გაუარესების თავიდან აცილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, მნიშვნელოვანი დრო ეთმობა პრაქტიკულ ნაწილს. ამ პრაქტიკული უნარების ხაზგასმა შესაბამისობაშია დამსაქმებლების, სტუდენტების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ მუდმივად გაკეთებულ რეკომენდაციებთან, რომელთა მიხედვითაც სტუდენტებს აქვთ პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების აუცილებლობა. მეტიც, უნივერსიტეტი სტუდენტებს ფსიქოლოგიურ სერვისს სთავაზობს, მათი ადაპტაციისა და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით. ცენტრის ფარგლებში, საინტერესო შეხვედრები, მასტერკლასები და საჯარო ლექციები გაიმართა ფაკულტეტთან თანამშრომლობით, წამყვანი კომპანიების წარმომადგენლებთან და სტუდენტების მიერ მოთხოვნილ წარმატებულ ადამიანებთან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტი გეგმავს ერთი საგანმანათლებლო პროგრამის თბილისში განხორციელებას. ქუთაისის უნივერსიტეტის თბილისის კამპუსის დათვალიერებამ ცხადყო, რომ ინფრასტრუქტურა, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა და ლაბორატორიული ოთახები შეესაბამება საჭირო მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს ეფექტური სწავლების პროცესს თბილისში. ყველა საჭირო სერვისებით სტუდენტების უზრუნველყოფა თბილისში ასევე მნიშვნელოვანია. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალთან შეხვედრაზე მკაფიოდ აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტური სერვისების მიწოდება თბილისში.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა დაიწყო რამდენიმე პროექტი და აქტიურად ჩართო სტუდენტები ამ პროექტში. მეტიც, ქუთაისის უნივერსიტეტი მონაწილეობს სხვადასხვა ინსტიტუციურ პროექტში, რომელსაც აფინანსებს ევროკავშირი, რომელიც წარმატებით ხორციელდება საქართველოში. 2024 წლის მარტში, ლიეტუვას სახელმწიფო სტიპენდიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ მედიცინის პროგრამის სტუდენტებს. 2024-2024 წელს გამოცხადებული კონკურსი ითვალისწინებდა, როგორც

სტიპენდიების, ასევე სწავლის გადასახადის სრულად დაფარვას ლიეტუვას რომელიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კონკურსი მიმდინარეა. 2023 წლის თებერვალში, ინფორმაცია სასტიპენდიო პროგრამებისა და საზაფხულო სკოლების შესახებ გამოცხადდა ლატვიის სახელმწიფო სააგენტოს მიერ, რომელიც ასევე გაზიარდა ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებთან. როგორც ბაკალავრებს, ასევე მაგისტრანტებს და დოქტორანტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ 2023-2024 წელს გამოცხადებულ კონკურსში. 2022 წელს, ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში SPIN NAKER Brand Management, რომელიც განხორციელდა 7 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე. ერთკვირიანი ლექციების შემდეგ, სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს პრაქტიკულ სემინარებში პოლონეთში. სტუდენტებს ქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ ბრენდის შექმნის პოლონურ გამოცდილებას და მათ ჩაუტარდათ ლექციები Siedlce University-ში. 2021 წელს, ქუთაისის უნივერსიტეტმა განახორციელა პროექტი "საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების კვლევა კოვიდ-19-ის პირობებში", სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში შესაბამისი დასკვნით; • შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტები • შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: • გასაუბრებები ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: არ ეხება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მისი ტიპისა და კონკრეტული დარგ(ებ)ის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების
ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, მისი ტიპისა და დარგის სპეფიციკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, უნივერსიტეტის რესურსების და არსებული გარემოს შეფასების საფუძველზე, ასევე ადგილზე ვიზიტის დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტი არის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და საერთაშორისო ასპარეზზე გატანა. ამ მიზნის მიღწევის მიზნით, უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს სამეცნიერო და კვლევით პროცესებს.

უნივერსიტეტს აქვს 2 კვლევითი ინსტიტუტი: ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი და მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი.

ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი დაფუძნდა 2021 წელს და მანამდე 2010 წლიდან ეკონომიკური პრობლემების სამეცნიერო ანალიტიკური ცენტრი ფუნქციონირებდა ქუთაისის უნივერსიტეტში, რომლის ფარგლებშიც ბევრი კვლევითი პროექტი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია განხორციელდა.

წარდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ 2021 წლიდან დღემდე ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტმა განახორციელა მრავალი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტები.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტმა შეიტანა რამდენიმე საგრანტო განაცხადი შიდა და გარე დაფინანსების მისაღებად (შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი; Horizon Europe), რომელთაგან უმეტესობა არ იქნა დამტკიცებული და დაფინანსებული.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი 2006 წლიდან აქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალს „ეკონომიკური პროფილი“ ბეჭდური ფორმით (ISSN – 1512-3901), ხოლო 2017 წლიდან ელექტრონული ფორმით (eISSN – 2587-5310). ჟურნალზე წვდომა ღიაა. ჟურნალის ყველა ნომერი ელექტრონულ ფორმატში განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის „ივერიელი“ ფონდში. „ეკონომიკური პროფილი“ რეგისტრირებულია შემდეგ საერთაშორისო ბაზებში: Crossref, DOAJ (Directory of Open Access Journals), ICI World of Journals global database, Academic Resource Index (ResearchBib).

მეცნიერებისა და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით მედიცინის მიმართულებით, 2024 წლის თებერვალში ქუთაისის უნივერსიტეტში დაარსდა მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი. ინსტიტუტის წესდების მიხედვით, კვლევითი ინსტიტუტის მიზანია მედიცინის პრობლემების შესწავლა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება, რომელიც ორიენტირებულია თანამედროვე ცოდნასა და ხარისხზე.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევითი ეთიკის კომიტეტი, რომლის მიზანია უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ დაგეგმილი კვლევების შესაბამისობა საერთაშორისოდ აღიარებულ ეთიკურ ნორმებთან, საქართველოს კანონმდებლობით და კვლევითი ეთიკის სფეროში საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

რაც შეეხება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, წარდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ჩართულია სხვადასხვა კვლევით პროექტებში როგორც ხელმძღვანელის, ასევე მკვლევარის პოზიციაზე, როგორც უნივერსიტეტის შიდა საგრანტო პროექტებში, ასევე ადგილობრივ კვლევით პროექტებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ზრუნავს თავისი აკადემიური პერსონალის განვითარებაზე და რეგულარულად სთავაზობს მათ სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და მასტერკლასებს, რაც ასევე დადასტურებულია წარდგენილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალთან ინტერვიუების საფუძველზე.

სამწუხაროდ, უნივერსიტეტის მიერ გაწვდილი ტრენინგებისა და მასტერკლასების დამსწრები რაოდენობა არ არის მაღალი, მიუხედავად რეგისტრირებული ადამიანების დიდი რაოდენობის; საშუალოდ, ამ ღონისძიებებს 7-15 აკადემიური ან მიწვეული პერსონალი ესწრება.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის უნივერსიტეტმა გააფორმა თანამშრომლობის რამდენიმე მემორანდუმი სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო დონეზე. ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ჩართულია სხვადასხვა პროექტების წინადადებების მომზადებაში. მაგალითად, ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტმა 2024 წელს მოამზადა საპროექტო წინადადება Horizon Europe-ის Excellence Hubs პროგრამისთვის, სახელწოდებით „საქართველოსა და სომხეთის ციფრული ტრანზიციისა და კვლევისა და ინოვაციების ეკოსისტემის განვითარების მხარდაჭერა“ (ID 101187134). ამ პროექტის წინადადება მოიცავს 16 პარტნიორ უნივერსიტეტს, კერძო კომპანიასა და ორგანიზაციას საქართველოდან (ევროპული უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, GRENA, ICT Cluster Georgia, PMAG), სომხეთიდან (ჰ. ტუმანიანის სახელობის ვანაძორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სომხეთის არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული უნივერსიტეტი, სომხეთის ეროვნული პოლიტექნიკური

უნივერსიტეტი, „Instigate Mobile“ CJSC, Urbanlab), მალტიდან (მალტას ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის კოლეჯი, Ascend.Consulting.EU), და იტალიიდან (STEPS).

შპს ქუთაისის უნივერსიტეტს ამ ეტაპზე აქვს მხოლოდ ერთი სადოქტორო პროგრამა - ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა. დოქტორანტურის ხარისხის და კვლევის ხარისხის უზრუნველსაყოფად, ქუთაისის უნივერსიტეტმა განავითარა და ახორციელებს „დოქტორანტურის წესებს“, სადაც, სხვა საჭირო და მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, დისერტაციის ხელმძღვანელის მოთხოვნები, მისი ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები, მათ შორის კონსულტაციები, უკუკავშირის გაზიარება და პროგრესი, მკაფიოდ არის განსაზღვრული. შეფასება, პუბლიკაციის მხარდაჭერის ვალდებულება. დოქტორანტურის წესები მკაფიოდ აღწერს დისერტაციის წარდგენის და დაცვის პროცედურებს, ასევე თეზისის შეფასების სისტემას. აღნიშნული სისტემა არის გამჭვირვალე და უზრუნველყოფს კონკრეტულ კრიტერიუმებს დისერტაციის დაცვის კომიტეტის წევრებისთვის თეზისის შეფასებისათვის. დამატებით, დოქტორანტურის პროგრამა მოიცავს შეფასების რუბრიკას თითოეულ კრიტერიუმზე, რომელიც დეტალურად აღწერს ქულების განაწილებას, რაც კიდევ უფრო ზრდის გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს სამართლიან შეფასებას.

წარდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გაირკვა, რომ მრავალი საგრანტო განაცხადის მომზადების მიუხედავად, მათი უმეტესობა არ დაფინანსდა, რაც მოითხოვს პრობლემის წყაროს სიღრმისეულ შესწავლას და გამოსავლის ძიებას. დისერტაციის ხარისხის კონტროლი, განსაკუთრებით პლაგიატის გამოვლენის პროგრამა პრიორიტეტად არის განსაზღვრული. 2020 წლიდან, უნივერსიტეტმა განახორციელა პროცედურები და მექანიზმები "პლაგიატის გამოვლენის, პრევენციის, რეაგირების მექანიზმები", თუმცა არ არის ნათლად განსაზღვრული როგორ ხდება პლაგიატის გამოვლენა და დადგენა როგორც ასეთი. გადაწყვეტილება მიიღება როგორც ერთი ცალკეული გადაწყვეტილება, რაც შეიძლება იყოს ძალიან რისკიანი და სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დანართები

ადგილზე ვიზიტი

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული დოკუმენტი 2021-2027 (2020 წლის 29 დეკემბრის მმართველი საბჭოს #6 რეზოლუცია)

საპროექტო განაცხადი მომზადებული საგრანტო კონკურსისთვის

კვლევითი პროექტების შედეგად მომზადებული პუბლიკაციები, რომლებიც დაფინანსებულია შიდა კვლევის გრანტის ფარგლებში

ეკონომიკის ინსტიტუტის რეგულაციები (2021 წლის 11 ნოემბრის, რექტორის 173 ბრძანება)

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ჟურნალი "ეკონომიკური პროფილი"

მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის რეგულაციები (2024 წლის 2 თებერვლის #13 რექტორის ბრძანება)

კვლევის ეთიკის კომიტეტის რეგულაციები (2021 წლის 13 დეკემბრის რექტორის 190 ბრძანება)

სადოქტორო რეგულაციები (მმართველი საბჭოს 2021 წლის 2 ივლისის N4 რეზოლუცია)

პლაგიატის გამოვლენის, პრევენციის, რეაგირების პროცედურები და მექანიზმები

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.unik.edu.ge/

რეკომენდაციები:

6.1.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გამოიკვლიოს საგრანტო განაცხადების უმეტესი ნაწილის უარყოფის მიზეზები და მიიღოს ზომები აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად.

რჩევები:

6.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პლაგიატის შეფასების უფრო მკაფიო კრიტერიუმები, ასევე კრიტერიუმები სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების თავიდან აცილების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით და სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში.
- დაწესებულება მუშაობს კვლევითი, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, დოკუმენტაციის და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტი მოქმედებს როგორც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, რათა დაეხმაროს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას. ცენტრი მუდმივად მუშაობს ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კვლევითი გრანტების კონკურსების, საერთაშორისო ინდივიდუალური სტიპენდიების კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებაზე და ამის გაზიარებაზე უნივერსიტეტის პერსონალთან. ასევე, ცენტრი ურჩევს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს საგრანტო განაცხადების მომზადებისა და წარდგენის საკითხებს.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, წლიური გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ირკვევა, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი ცენტრი რეგულარულად ატარებს ტრენინგებს, მასტერკლასებს და საინფორმაციო შეხვედრებს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებითაც. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის რეგულარულად გამოიგზავნება როგორც ანკეტები, ასევე ინფორმაცია სამეცნიერო ღონისძიებებისა და გრანტების შესახებ. ასევე, სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარების და წახალისების მიზნით, უნივერსიტეტი მუდმივად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს (2022, 2023).

